პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

მეოთხე წელიწადი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური & თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 21, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი,
ტელეფონი 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ —65 კ., დანარჩ. ქალაქში—85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონით—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. ა. | კავკ. გარეშე—40 კ. აწყობა ციფრებით—60 კ., შუა გვერდებში—ორჯერ მეტი. სამგლოვიარო განცხადება — 5 მან. განმეორებითი განცხადება 15 პროცენტ. შეღავათით. განცხადება მიიღება ნაშუადღ. 3 საათამდე.

პარასკევი 24 ოქტომბერი 1924 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კ. № 244 (1099)

დღიური

— საფრანგეთის პრესა აშკარად აღიარებს საქართველოში მომხდარ ავანტიურისტულ გამოსვლების მარცხს.

— დამთავრდა ნორვეგიის პარლამენტის არჩევნები; გაიმარჯვა გლეხთა კავშირმა.

— ფინეთის პოლიციამ დააპატიმრა 16 მუშა, რომელთაც ბრალი ედებათ კომუნისტობაში.

— საფრანგეთის კომპარტიამ [illegible] პროლეტარიატს.

— გლეხთა მოძრაობამ პოლონეთში მასსიური ხასიათი მიიღო.

სოფლის ლიტერატურის შესახებ

მკითხველი ამას წინედ წააწყდებოდა გაზეთში შემდეგ ცნობას: „გამომცემლობა „საბჭოთა კავკასია" ახლო მომავალში ემზადება გამოუშვას სპეციალურად საგლეხო ლიტერატურა საერთო სათაურით „გლეხის ბიბლიოთეკა"; ბიბლიოთეკა შეიცავს 12 სერიას, თვითეულ სერიაში იქნება 6—8 ბროშიურა სასოფლო-სამეურნეო საკითხების შესახებ. ბროშიურები გამოიცემა ქართულ, სომხურ და თიურქულ ენებზე".

საყურადღებო ცნობაა. არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ გლეხობას შორის მუშაობის გაძლიერება, სოფლისაკენ პირის შებრუნება წარმოადგენს ჩვენს ძირითად ლოზუნგს მთელი მიმდინარე პერიოდისათვის, ლოზუნგს, კატეგორიულად ნაკარნახევს როგორც პარტიის მე-13 ყრილობის, ისე ჩვენი ცეკას უკანასკნელი პლენუმის მიერ.

სოფლად მუშაობის სისტემაში საგლეხო ლიტერატურის გამოცემა-გავრცელებამ უეჭველად უნდა დაიკავოს მნიშვნელოვანი ადგილი.

ამ საქმეში ჩვენ რამოდენიმედ დავიგვიანეთ. ამ სამი-ოთხი წლის განმავლობაში გლეხის შეგნების დონე საგრძნობლად ამაღლდა, მისი კულტურული მოთხოვნილება გაიზარდა, ის სამაო ინტერესს იჩენს გაზეთებისა და წიგნებისადმი. გლეხის ცხოვრებაში და მის გარშემო დიდი ცვლილებები მოხდა როგორც სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ სფეროში, ისე მის მსოფლმხედველობაში. მას მრავალი ახალი მოთხოვნილება დაებადა, მრავალი ახალი კითხვები წამოიჭრა მის გონებაში. ყველაფერ ამაზე გლეხს უნდა მიიღოს გასაგები და ჩამოყალიბებული პასუხი, ახსნა-განმარტება. ეს შესაძლებელია უმთავრესად ლიტერატურის საშუალებით, წიგნების და გაზეთების საშუალებით.

დღემდე ასეთი ლიტერატურა გლეხობისათვის ჩვენ ვერ მიგვიწოდებია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ წიგნები არ გამოგვეცეს გლეხებისათვის. გამოვეცით და გადვუგზავნეთ პროვინციაში. მაგრამ ამ დარგში ჩვენ მიერ წარმოებულ მუშაობას რაიმე თვალსაჩინო ნაყოფი არ გამოუღია, და [illegible] ამიტომ, რომ ჩვენ დღემდე მეტწილად ვერ მოვახერხეთ მიგვეწოდებია გლეხობისათვის ისეთი ლიტერატურა, როგორსაც ის მოითხოვს, როგორიც მას ესაჭიროება.

„მეცნიერულად", განყენებულად და მშრალად შედგენილი სქელტანიანი წიგნაკებით გლეხობას მხოლოდ დავაფრთხობთ, გულს აურევეთ საერთოდ რაიმეს წაკითხვაზე. ამასთან თუ ამ ბროშიურებზე ფასების დაწესების დროს სათანადო ანგარიში არ გაუწიეთ გლეხის ჯიბის სიქსატეს, —გლეხის ქოხი წიგნს ვერასოდეს ვერ იხილავს.

ეს გარემოებანი არ ყოფილა როგორც საჭიროა მხედველობაში მიღებული.

რა და როგორი წიგნები უნდა მივაწოდოთ გლეხობას? გლეხს პირველ ყოვლისა და უმთავრესად აინტერესებს თავისი მეურნეობა და მას უნდა მივსცეთ ლიტერატურა სასოფლო-სამეურნეო საკითხების შესახებ. აქ არ გამოგვადგება ზოგადი ხასიათის შრომები. გლეხმა წიგნაკში უნდა იპოვოს მისთვის ცნობილი მეურნეობის კულტურული აღწერა, მისი გაუმჯობესების მისაწვდომ საშუალებებზე მითითება. ამასთან საჭიროა ანგარიში გაეწიოს სამეურნეო რაიონებს და მათი შესაფერი ლიტერატურაც გავრცელდეს ამის მიხედვით.

სასურველია ორიგინალური შრომების შედგენა, სადაც მოცემული უნდა იყოს ადგილობრივი მეურნეობათა და პირობების სურათი. ნათარგმნი ლიტერატურა ამ მხრივ ნაკლებ სარგებლობას მოგვიტანს.

აქვე ხაზგასასმელია, რომ სასოფლო-სამეურნეო ხასიათის ბროშიურებშიც უნდა იყოს გატარებული გარკვეული პოლიტიკური თვალსაზრისი; სახელდობრ, იქ ნათლად უნდა სჩანდეს, თუ რა გააკეთა საბჭოთა ხელისუფლებამ გლეხობისათვის სასოფლო-მეურნეობის დარგში, რის გაკეთებას აპირებს შემდეგში, რა საშუალებებით შეიძლება დასახულ ამოცანების შესრულება და სხვა.

გარდა სასოფლო მეურნეობის შინაარსის წიგნაკებისა, უნდა გამოიცეს ლიტერატურა პოლიტიკური ხასიათის. ამ მხრივაც დიდი სიმშილია სოფლად. საბჭოთა წყობილება და აღმშენებლობა, ოქტომბრის რევოლიუცია, მუშების და გლეხების ურთიერთი დამოკიდებულება, საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალური პოლიტიკა და სხვა მრავალი საკითხები უნდა იქნენ გაშუქებული.

ბროშიურების ცალკე სერია უნდა შეიძლენას გლეხობის ყოფა-ცხოვრებას და ცრუმორწმუნოებებს. ძველი ჩვეულებები და წესები ირღვევა სოფლად, გლეხი აგრეთვე თავისუფლდება სარწმუნოების გავლენისაგან. სათანადო ლიტერატურამ ხელი უნდა შეუწყოს გლეხობის ყოფა-ცხოვრების გარდაქმნას და მის მიერ საღ, მეცნიერ შეხედულების შეთვისებას. ამ დარგში სავსებით უნდა იქნეს გამოყენებული ადგილობრივი ზნე-ჩვეულებები და ცრუმორწმუნოებანი და ცოცხალ, კონკრეტიულ მაგალითებზე იქნეს გამოაშკარავებული მათი სიყალბე.

[illegible] შესახებ უნდა გამოიცეს საგლეხო წიგნაკები, ჩვენ აქ ვერ ჩამოვთვლით. ეს სპეციალური კომისიის საქმეა.

წიგნაკები უნდა იყოს პატარ პატარა, რომ გლეხს არ „შეაშინდეს" მისი წაკითხვის. ამ წიგნებიდან სავსებით უნდა იყოს განდევნილი „მეცნიერული" ენა; მდაბიო, ხალხური ენა უნდა ახასიათებდეს მათ. გამოცემა უნდა იყოს გარეგნულადაც ლამაზი და დასურათებული. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ საგლეხო ლიტერატურა რაც შეიძლება იაფი უნდა იყოს.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე საგლეხო ბროშიურების გავრცელების საქმეს პროვინციაში, გლეხობას შორის.

ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ საგლეხო ლიტერატურის საკითხში არსებული ნაკლი შევავსოთ და სოფელს რაც შეიძლება მოკლე დროში მივაწოდოთ მისთვის საჭირო, გასაგები და იაფი წიგნი.

მაზრიანობა აღმშენებლობაში*)

კომუნალურ აღმშენებლობის წინაშე რესპუბლიკის ფარგლებში სდგას შემდეგი ამოცანა: ადგილობრივი შემოსავალი სრულად უნდა მოხმარდეს ადგილობრივ აღმშენებლობას, თუ ნაწილი უნდა დაიხარჯოს სხვა ადგილების კეთილ მოწყობაში.

მაგალითად ლიუქსენბურგი (ბორჩალოს მაზრა) ედავებოდა ბორჩალოს მაზრის აღმასკომს, რადგან ამ უკანასკნელმა ლიუქსენბურგის კომუნალური შემოსავლიდან ნაწილი ხიდების გაკეთებას მოახმარა სხვა რაიონში. მაზრის აღმასკომმა ეს ფული ლიუქსენბურგს არ დაუბრუნა, პირიქით, მოითხოვა ასეთი ნაწილის ყოველწლივ გამოყოფა სხვა რაიონებისათვის.

ერთმა ლიუქსენბურგელმა ამხანაგმა ამ საკითხის გამო მე მითხრა: „თუ მაზრა წაგვართმევს კომუნალურ შემოსავლის თანხებიდან, მაშინ ჩვენ შევამცირებთ თვით კომუნალურ შემოსავალს: დავკლებთ ფასებს წყალზე, ელექტრონზე, წისქვილებზე, ბინებზე, სავაჭრო" და სხვა.

მისი ლაპარაკიდან მე გავიგე, რომ თუ მაზრა ამა თუ იმ ქალაქს ან რაიონს კომუნალურ შემოსავლის თანხებში შეეცილება, მაშინ ადგილობრივი მცხოვრებნი ისე გულიანად აღარ შეიტანენ აღმშენებლობაში თავიანთ წვლილს და ამით ადგილობრივი კომუნალური აღმშენებლობა იზარალებს.

ეს ცოტაოდნათ მართალიც არის. მაგრამ მხოლოდ ცოტაოდნათ, რადგან ასეთი კუთხური ლოღიკა რესპუბლიკისათვის მიუღებელია.

ვსთქვათ ლიუქსენბურგს შეუძლია თავის შემოსავლით ქალაქი უმშვენიერესად მოაწყოს. ამავე დროს კი იქიდან ხუთი ვერსის მანძილზე ხიდი გაფუჭდა, ხოლო ადგილობრივ მცხოვრებთ მისი გაკეთება არ ძალუძთ. მაზრას კი ამისათვის სპეციალური თანხები არა აქვს. ამ რიგად ქალაქი აყვავებულია, ხოლო მაზრის სხვა ადგილები დანგრეული. იქნება ეს მოსაწონი თუ არა? რა თქმა უნდა, არა. მაშასადამე მაზრას ან რესპუბლიკას უფლება უნდა ჰქონდეს კომუნალურ აღმშენებლობის საქმეში ჩარევისა. მაზრამ უნდა განიხილოს კომუნალური შემოსავლის ცხრილი და აღმშენებლობის პროექტი, მაზრა უფრო ფართე თვალსაზრისით შეხედავს გარემოებას. მაზრას უფლება უნდა ჰქონდეს ხარჯთ-აღრიცხვის შესწორება-შეკვეცისა. ადგილობრივ გადასახადთა შეთხზვა-გამოგონებას უნდა მოეღოს ბოლო. საქართველო „ჭრელია" მდიდარი და ღარიბი ადგილებით. ყოველ ათეულ ვერსზე ეკონომიური მდგომარეობა იცვლება. თუ მდიდარმა ადგილებმა არ უშველეს ღარიბებს, უკანასკნელნი სულ დაიღუპებიან.

ავიღოთ, მაგალითად, თბილისი და ქუთაისი.

თბილისში ქუჩები კარგათ მოეწყო. ქალაქის აღმასკომი ახალ სახლებსაც აშენებს. თითქმის ყველა მუნიციპალურ შენობებს კაპიტალური რემონტი გაუკეთა. ქალაქისთვის დიდძალიან და ძვირ ელექტრონის სადგურს აკეთებს (ზაჰესი). ქუჩები ძალიან კარგადაა განათებული. ერთის სიტყვით ნამდვილი აღმშენებლობა და კეთილი მოწყობა სწარმოებს.

ქ. ქუთაისი კი მკვდარსა ჰგავს. სახლები დაძველდა, მათ არავინ აკეთებს. ქუჩები ბნელია, ქვაფენილები ფარღალალა. ღამე ქუჩაში გავლა სხეულის დაუშავებლად ძნელია. წყალსადენი არ არის. ერთის სიტყვით ეს ქალაქი თანდათან კვდება. მას საკმარისი შემოსავალი არ აქვს ყოველივე წყლულების განსაკურნავად. მთავრობას მისთვის ვერ უსესხებია ცოტაოდენი გროშები, რომ სული ამოათქმევინოს.

ამავე დროს თბილისი არ სჯერდება უკვე გაკეთებულს და ეხლა „ნიუ-იორკისებურ" ქუჩებს აწყობს სომხების ბაზარში ახგრევენ მთელ რიგ შენობებს და ქუჩებს აფართოვებენ.

ქუთაისში კი ქუჩები ვიწროც არის, ბნელიც, დანგრეულიც და უწმინდურიც.

ეს მე მგონია უსამართლობაა. ასეთ უსამართლობას დღეს ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

ასევე მოუწესრიგებელია ჩვენი პროვინციების საკითხები. ზოგან ელექტრონის სადგურებს აშენებენ—ზოგან კი ტყის სახერხი ქარხნებიც არ მოიპოვება. მიწის კულტურის და კოოპერატივის საქმე ჯერ კიდევ ძალიან დაბალ დონეზე დგას.

ამრიგად ჩვენს კომუნალურ-კულტურულ აღმშენებლობას ემჩნევა დიდ ქალაქებისა და პოლიტიკურ ცენტრებისაგან გადახრა. საბჭოთა ხელისუფლებამ ყურადღება უნდა მიაქციოს უფრო მტკივნეულ ადგილს—პროვინციას. პროვინცია უნდა დაედგეს ცენტრის სიმაღლეზე. პროვინცია უნდა გადიქცეს ჩვენი ყურადღების ცენტრად. სხვა რიგად ჩვენი აღმშენებლობა ვერ დააკავშირებს სოფელს ქალაქთან. სოფელი კვლავ ბნელი, მოწყვეტილი და ხავსიანი დარჩება.

ი. ტალახაძე.

---

*) კამათის წესით.

რედ.

საქართველოს მევენახეობა და ჩვენი კოოპერაცია

(პრაქტიკული წინადადება)

ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ მევენახეობას საქართველოს გლეხობის ეკონომიურ მდგომარეობაში დიდი ადგილი უჭირავს. ამისათვის სამართლიანი არის ამხ. ს. ორჯონიკიძის შენიშვნა (იხ. მისი წერილი: „ჩვენი ამოცანები" „კომუნისტი" № 240). ის დიდ ყურადღებას აქცევს საქართველოს მევენახეობას და ეხება მის აღორძინების საკითხს, კერძოთ ფილოქსერასთან ბრძოლას და სხვ.

რასაკვირველია, რომ ყველა ის ღონისძიებები გადაუდებელია და ვიმედოვნებთ, რომ ერთსულოვნათ, ვისაც კი რა შეუძლია, თავის წვლილს შეიტანს ამ დარგში და მევენახეობის გამოცოცხლებას ხელს შეუწყობს. ფილოქსერა, ეს უწინარი მტერი ვაზისა, დღე-დღეზედ ანადგურებს ამ საუკეთესო კულტურას. ის ჩუმად და მოუსვენრად „მუშაობს" კახეთის ზა[illegible]ში. ჰკითხეთ კახელ გლეხს და ის ნაღვლიანად გიპასუხებთ: „ეხ, სადღა არის ვენახი წინანდებურათ, თანდათან გამიხმდება ის იმ ოხერმა ფილოქსერამ". კახელმა გლეხობამ უკვე [illegible] საჭიროება, მაგრამ დაუხმარებლად მას ძალიან უძნელდება მისი დაძლევა. ეს აიხსნება იმით, რომ ჩვენს წინა მთავრობებს თითქმის არაფერი არ გაუკეთებიათ ამ დარგში. ჩვენი ნორჩი რესპუბლიკა უკვე აჩნევს თავის მოქმედების დაღს საფილოქსერო საქმეს და სიტყვიდან საქმეზე გადადის სულ ცოტა ხანში გადადგმულია საგრძნობი ნაბიჯები როგორც მიწათმოქმედების კომისარიატის, აგრეთვე „წარმოკავშირ"-თან არსებულ საფილოქსერო კომიტეტის მიერ. ყველაფერი ეს მაჩვენებელია იმისა, რომ ამ დარგში ჩვენ ვცილდებით ბიუროკრატიულ აგრონომიას.

რასაკვირველია, აქ ყველაფერი კიდევ არ არის რიგზედ, საჭიროა ფინანსიური წყაროები და სხვა ღონისძიებანი, მაგრამ ამაზე შემდეგ. ამ წერილში ჩემი უმთავრესი მიზანი იყო შეხებოდი მევენახეობის დარგის კოოპერაციას.

ჩემის აზრით კოოპერაციას ბევრის გაკეთება შეუძლია მევენახეობის აღორძინების საქმეში. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. მაგრამ, სამწუხაროდ (თუ კი შეიძლება ასე თქმა), ამ მხრივ არაფერი არ არის რიგზედ. მევენახე-მეღვინეთა კოოპერატივები სოკოსავით არიან გამრავლებული, მაგრამ არც ერთი მათგანი თავის დანიშნულებას ვერ ამართლებს და, არამც თუ ვერ ამართლებს, ყველა ისინი სულს ღაფავენ. მათი სიმრავლე თბილისის და გარეშე ღვინის ბაზარზედ თითქოს ბევრი საქმიანობის და სარგებლობის მაჩვენებელია, მაგრამ საკმაოისია სულ პატარა დაკვირვება, რომ შევამჩნიოთ მათი საზარალო მუშაობა მევენახე-მეღვინეთა კოოპერატივის წევრებისათვის და საერთოდ მევენახეობისათვის.

მე მსურს გაუგებრობაში არავინ არ ჩავაგდო და არ ვაფიქრებინო, რომ ვითომც წინააღმდეგი ვიყო მევენახეთა კოოპერატივების სიმრავლისა. პირიქით კოოპერატივთა სიმრავლის მომხრე მე ვარ, მაგრამ აქ კი არა, თბილისში, არამედ ადგილობრივ—სოფლებში. აქ კი თბილისში მევენახეთა კოოპერატივების სიმრავლეს, ჩემის აზრით, ზარალის მეტი არაფერი არ მოაქვს.

ავიღოთ მაგალითად მათი საქმიანობა, ნაყოფიერება და საორგანიზაციო ხარჯები: თბილისში ამ ჟამად ექვსი მეღვინეთა კოოპერატივი მუშაობს. მათში ორი იმერეთის და ოთხი კახეთის. მათი სახელწოდებაა: „კახეთი", „კავშირთა-კავშირი", „წინანდალი", „საერო", „ხვანჭკარა", და „იმერეთი". პირველი ოთხი კახეთის რაიონის კოოპერატივებია და მათში ორი: „წინანდალი" და „საერო" ერთი სოფლისანი არიან (სოფელ წინანდლიდან). ყველას მიზანი, ერთია: განავითარონ მევენახეობა, ებრძოლონ ფილოქსერას და ვაზის სხვადასხვა ავადმყოფობას, გაუადვილონ გლეხს ვენახის ტექნიკურად დამუშავება სხვადასხვა იარაღების მიწოდებით, გადაამუშაონ ვენახის ნაწარმოებები, რაც შეიძლება უმაღლეს ხარისხად, ასწიონ მისი ღირებულება და მოუპოვონ ნაწარმოებს ფართე ბაზარი.

ეს ასე უნდა იყოს, მაგრამ სხვა მდგომარეობაა.

ჯერ ერთი, რომ ღვინის ბაზარზე, როგორც შიგნი, ისევე გარეთ არსებობს მათ შორის საშინელი კონკურენცია და ღვინოებს ჰყიდიან იმ სახით, რა სახითაც გლეხი მათ აბარებს. ამ მხრივ ჩვენი მეღვინეთა კოოპერატივები არ განსხვავდებიან სირაჩხანის მეღვინეობას. სხვა მხარეებს ზემოთ დასახელებულ მიზნებისას უფრო მეტი სისუსტე ემჩნევა. რაც შეეხება ღვინის რაოდენობის გასაღებას, —ჩემის აზრით, ის არ აღემატება 200.000 ვედროს წელიწადში მაშინ, როდესაც ჩვენ, ვიცით კახეთის-ღვინის წლიური მოსავალი მილიონ ვედროებში გამოიხატება. აშკარაა, რომ დიდი წილი კახური ღვინოებისა საღდება [illegible] კოოპერატიული გზით [illegible] კერძო ვაჭრობის საშუალებით და უკეთეს შემთხვევაში სხვადასხვა სახ. ორგანოს. საშუალებით: მაგ. სახ. სახელმწ. ვაჭრობის ორგანო ამ ჟამად აწარმოებს ღვინის დამზადებას მეტად საზარალო პირობებში გლეხობისათვის და კოოპერატივისათვის.

200.000 ვედრო ღვინის გასაღებას ჩემის აზრით ესაჭიროება ერთი პატარა ბუხჰალტერია და კანცელარია, ერთი გამგეობა სამი კაცისაგან შემდგარი, ერთი საბჭო, ერთი სარევიზიო კომისია, ორი მეღვინე და 10—15 კაცისაგან შემდგარი კიდევ სხვა მომუშავეები. ეხლა კი რომ ავიღოთ თბილისში მყოფი (კახეთის რაიონის) ოთხი კოოპერატივი, თვითეულს ჰყავს თავისი საკუთარი შტატები. მაგალითად: ოთხი გამგეობა, ოთხი სარევიზიო კომისია, ოთხი საბჭო, ოთხი ბუხჰალტერია, ოთხი კანცელარია, ოთხი სარდაფი და აუარებელი მაღაზიები როგორც ადგილობრივ აქ, აგრეთვე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში, თვითეულ მათგანს თავისი საქმიანობა აქვს თავისი ყოველნაირი ხარჯებით.

იბადება საკითხი: ვის აწვება ყველა ეს უზარმაზარი ხარჯები?—რასაკვირველია გლეხის ნაწარმოებს; 200.000 ვედრო ღვინოს. ცხადია თუ რა სარგებლობა ექნება კოოპერატივის წევრ გლეხს.

ამისათვის აუცილებლად საჭიროა ყველა თბილისში არსებული მევენახე-მეღვინეთა კოოპერატიულ ორგანიზაციების დაუყოვნებლივ ერთ ცენტრში ჩამოყალიბება ერთი გამგეობით, ერთი საბჭოთი, ერთი სარევიზიო კომისიით, ბუხჰალტერიით და ერთი შტატით. რაც შეეხება არსებულ კოოპერატივებს, ისინი უნდა გადავიდნენ სოფლებში, ადგილობრივ სამუშაოთ. მაშასადამე აქ ცენტრში უნდა შეიქმნეს ერთი მევენახე-მეღვინეთა კოოპერატიული კავშირი მაგ. კახეთის რაიონის ცალკე და იმერეთისაც ამ სახითვე ცალკე.

არ შეიძლება აქვე არ შევეხოთ საერთოდ ღვინის დამზადების საკითხს. ვინ გინდა რომ დღეს ღვინოს არ ამზადებდეს ე. ი. არ ყიდულობდეს და არ ჰყიდდეს. ყველის ღვინის დამზადება აკვრია პირზე და შეაქვთ არევ-დარევა ღვინის ბაზარზე. ანარქიულის წესით დამზადებული ღვინო ჰკარგავს თავის ფასს და ზარალს აყენებს მეურნეობას.

ყოველივე ეს გამოწვეულია მევენახეთა კოოპერაციის სისუსტით, მაგრამ ფუნქციების არევასაც აქ დიდი ადგილი უჭირავს. საჭიროა აქაც მიექცეს ყურადღება და თუ ვისმეს ღვინის დამზადება სურს, მაგ. „გრუზგოსტორგს", ტრესტებს და სხვებს, უნდა მიმართონ მევენახეთა კოოპერატივებს და მხოლოდ მათი საშუალებით უნდა იქნას დამზადებული ღვინოები.

ს. ცინცაძე.

ჩვენი მტრების ერთიანი ფრონტი ირღვევა

საფრანგეთის უკანასკნელმა პოლიტიკამ საბჭოთა კავშირის მიმართ დააფრთხო რუმინეთი.—დე-მონზის კომისიას არ შეუმუშავებია არავითარი წინასწარი პირობები.—ამხ. კარახანმა ნოტა გაუგზავნა იაპონიას სახალინის დაცლის შესახებ.—მოსკოვში ჩამოვიდნენ ამერიკის მეცნიერები.—საფრანგეთის პრესა უკმაყოფილოა რუს ემიგრანტებით.

რუმინეთი დაფრთხა

ვენა, 22 ოქტ. საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის მომავალი ცნობა დე-იურეთ ყურადღების ცენტრს წარმოადგენს რუმინეთის საგარეო პოლიტიკაში. რუმინეთში განსაკუთრებით ეშინიათ იმის, რომ საფრანგეთი საბჭოთა კავშირს დაუბრუნებს ვრანგელისაგან გატაცებულ გემებს, რომლებიც ამჟამად იმყოფებიან ბიზერტის ნავთსადგურში.

პრესა გამოსთქვამს იმის შიშს, რომ საბჭოთა მთავრობა ამ გემებს შეუერთებს შავი ზღვის ფლოტს, რის გამოც რუმინეთი უეჭველათ დიდ საფრთხეში ჩავარდება. გლეხთა პარტიის ორგანო „ლუპტა" სწერს: იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთი საბჭოთა კავშირს დაუბრუნებს ვრანგელის მიერ გატაცებულ გემებს, მაშინ რუმინეთის მთავრობამ პროტესტით უნდა მიმართოს საფრანგეთს, რათა ეს ფლოტი არ გამოიყენონ შავ ზღვაზე.

ამერიკელი სტუმრები

მოსკოვი, 23 ოქტ. მოსკოვში ნიუ-იორკიდან ჩამოვიდა ამერიკელ მეცნიერ-ქალთა ჯგუფი ბოსტონის უნივერსიტეტის პროფესიული ჰიგიენის კათედრის პროფესორ ალისა ჰამილტონის მეთაურობით. ამერიკელი მეცნიერები დარჩებიან მოსკოვში დაახლოვებით ორი კვირა და გაეცნობიან საბჭოთა კავშირში პროფესიული ჰიგიენის და სანიტარიის მდგომარეობას.

თავისიანებსაც კი მობეზრდათ

პარიზი. 22 ოქტომბ. „ეკო დე პარი"-ს ცნობებით, დე-მონზის კომისია იხილავდა საკითხს იმ 400.000 რუს ემიგრანტის იურიდიულ მდგომარეობის შესახებ, რომლებიც დასახლდნენ საფრანგეთში უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში; 400.000 ემიგრანტიდან მხოლოდ 75.000 კაცი აკმაყოფილებს უცხოელთათვის გამოცემულ წესებს.

„პრინციპიალურადო—სწერს გაზეთი—საფრანგეთის მთავრობა სიამოვნებით მიაკუთვნებდა საფრანგეთის სოფლის თემებს იმ ჯანსაღ ელემენტებს, რომლებიც მოიპოვებიან ემიგრანტებს შორის და გაუადვილებს მათ ნატურალიზაციის პროცესს, მაგრამ როგორ მოვახდინოთ აუცილებელი გადარჩევა, **რა ვუყოთ დანარჩენებს**".

რისთვის დაითხოვეს რეიხსტაგი

მოსკოვი. 23 ოქტომბ. „როსტა"-ს თანამშრომელთან საუბრის დროს კომინტერნის აღმასკომის მდივანმა, გერმანიის კომპარტიის წარმომადგენელმა, რეიხსტაგის დეპუტატმა გეშკემ შემდეგნაირად დაახასიათა რეიხსტაგის დათხოვნის მიზეზები:

დოუესის გეგმის ცხოვრებაში გასატარებლად საჭირო კანონპროექტების მიღება გერმანიის რეიხსტაგის მიერ შეიძლებოდა წარმატებით ჩატარებულიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაციონალისტების ფრაქციის ნაწილი, წინააღმდეგ პარტიის საერთო პოზიციისა დოუესის გეგმის მიმართ, ხმას მისცემდა მათ მიღებას. ამ სამსახურის გაწევა მთავრობისათვის ნაციონალისტებმა დაუკავშირეს მარქსის კაბინეტის რეორგანიზაციას. ისინი მოითხოვდნენ, **რომ გადამდგარიყო ცენტრის მიერ დანიშნული რეიხსკანცლერი მარქსი, რეიხსკანცლერის თანამდებობა დაეკავებია ნაციონალისტს და აგრეთვე ნაციონალისტების ხელში გადასულიყო უმთავრესი სამინისტროები.**

ამაოდ ჩაიარა რეიხსკანცლერის ხანგრძლივმა მოლაპარაკებამ ყველა ბურჟუაზიული პარტიების ლიდერებთან და სოციალ-დემოკრატებთან.

სოციალ-დემოკრატები პირველად ეწინააღმდეგებოდნენ ნაციონალისტების შესვლას მთავრობაში, მაგრამ მალე სოციალ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ და მისმა ორგანომ „ფორვერტს"-მა შეიმუშავეს პირობები, რომლებითაც ისინი მოითხოვდნენ, რომ ნაციონალისტებს ერთგულება გამოეცხადებიათ კონსტიტუციისათვის და ეთქვათ, რომ მხად არიან დაიცვან რესპუბლიკა. ნაციონალისტები კი თავისას მოითხოვდნენ.

ამრიგად დაისვა წმინდა ბურჟუაზიული ბლოკის შექმნის საკითხი. სოციალ-დემოკრატები ხელცარიელი დარჩნენ. ბურჟუაზიულ პარტიებს შორის თავი იჩინა დიდმა უთანხმოებამ იმის გამო, რომ თვითეულ პარტიას სურდა უმრავლესობა ჰყოლოდა მთავრობაში. **კვლავ განახლდა ძველი ბრძოლა მძიმე მრეწველობასა და მსხვილ მემამულეებს შორის, ბანკებსა და სავაჭრო კაპიტალს შორის.**

ყველა საშუალებების ამოწურვის შემდეგ რეიხსკანცლერმა წინადადება მისცა პრეზიდენტ ებერტს დაეთხოვა რეიხსტაგი და დაენიშნა ახალი არჩევნები.

ეხლა პროლეტარიატს მოელის ძნელი ბრძოლა. ყველა ბურჟუაზიულ **პარტიებს აერთიანებს მტრობა პროლეტარიატისადმი.** მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატების დანაშაული მუშათა კლასის წინაშე დღითი დღე მატულობს, მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატები გააფთრებულ კამპანიას აწარმოებენ პროლეტარიატის წინააღმდეგ, ახალ არჩევნებით სოციალ-დემოკრატები, ალბად, რამოდენიმედ მოიმატებენ ხმებს.

ყველაზე უფრო მეტად დაზარალდება ტევტონური პარტია, მიუხედავად იმისა, რომ მან რეიხსტაგში ხმა მისცა დოუესის გეგმის წინააღმდეგ.

ყველაზე უფრო ძნელი ბრძოლა მოელის კომპარტიას. რეიხსტაგის დათხოვნით კომუნისტი დეპუტატები ჰკარგავენ დეპუტატის ხელშეუვალობის უფლებას, რის გამო ჩვენი ამხანაგების უმრავლესობას დასჭირდება არალეგალურად მუშაობა. პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრი ზევერინგი შეეცდება დააპატიმროს რაც შეიძლება მეტი რიცხვი ჩვენი ხელმძღვანელი ამხანაგებისა, ვინაიდან თვითეული მათგანის წინააღმდეგ აღძრულია ბრალდება სახელმწიფო ღალატის შესახებ. ამ გარემოებათა მიხედვით შესაძლებელია ნაწილობრივ შემცირდეს კომუნისტების მანდატების რაოდენობა.

ქრონიკა

შრომის ნაყოფიერების გაზრდისათვის დაწესებულებებში

შრომის ნაყოფიერების გაზრდა შეადგენს ამჟამად ჩვენს უმთავრეს ამოცანას. მის გადასაწყვეტად ფართე კამპანია გაჩაღებული. იმართება საწარმოო თათბირები, მუშები ეცნობიან წარმოების ნაკლულევანებებს, იმუშავებენ ღონისძიებებს მათ აღმოსაფხვრელად. მწარმოებელ მუშების შემეცნებაში ღრმად იჭრება აზრი,—რაც არ უნდა დაჯდეს, უნდა იქნეს შრომის ნაყოფიერება მაქსიმალურად გადიდებული, წარმოება გაფართოებული და საქონელი გაიაფებული

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან სუსტად მიმდინარეობს, ან სულ არ სწარმოებს ეს კამპანია მოსამსახურეთა შორის, რომელნიც მუშაობენ კომერციულ, კოოპერატიულ და ადმინისტრატიულ სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში.

ამავე დროს კი ცხადია, რომ ჩვენი დროის ხსენებული მთავარი ლოზუნგის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ წარმოებაში ჩაბმულ მუშების და დაწესებულებათა თანამშრომლების საერთო ძალღონით; **დაწესებულებებში კი შრომის ნაყოფიერება და სამუშაო დღის გამოყენება სრულებით არ სდგას თავის სიმაღლეზე.** შეიხედეთ ჩვენს დაწესებულებებში და ამაში დარწმუნდებით.

ამ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება და მუშებთან ერთად მოსამსახურეებიც უნდა იქნენ ჩაბმული ბრძოლაში შრომის ნაყოფიერების ასაწევად.

ამ საკითხს ეხება გაზ. „ტრუდ" (№ 234):

> „როგორც ეს ხდება მრეწველობაში, დაწესებულებების მუშაკებმაც უნდა მიიღონ აქტიური მონაწილეობა ამ ბრძოლაში. როგორც მრეწველობაში, ეს ბრძოლა აქაც უნდა მიმდინარეობდეს ორი მთავარი მიმართულებით—პირველი: თვით აპარატების გაუმჯობესების, მათი ნაკლულევანებათა კოლექტიური შესწავლის და ამ ნაკლულევანებათა აღმოსაფხვრელად ღონისძიებების გამომუშავების გზით, აპარატების სწორი ორგანიზაციის ხაზით, და მეორე: თვითეულ მუშაკის შრომის ნაყოფიერების ამაღლების, შრომითი დისციპლინის განმტკიცების ხაზით, ვინაიდან ამ მხრივ აქ საქმე სრულებით არ არის უკეთესად დაყენებული, თუ უარესად არა, ვინემ საწარმოო დაწესებულებებში".

ურთიერთობა იაპონიასთან

პეკინი. 22 ოქტ. კარახანმა პეკინში მყოფ იაპონიის ელჩს იოშიზავას გაუგზავნა ნოტა, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია:

„იაპონია-საბჭოთა კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე 6 ოქტომბერს, თქვენ საჭიროთ სცანით მოითხოვოთ ტოკიოდან ახალი ინსტრუქციები. მას შემდეგ უკვე გავიდა ორი კვირა. ძალიან სამწუხარო იქნება, თუ ინსტრუქციების მიუღებლობა გამოიწვევს გართულებას ჩვენს მუშაობაში. ეს გართულება შეიძლება წარმოიშვას იაპონიის იმ დეკლარაციის მიხედულობით, რომელიც აღნიშნავს, რომ ზამთრის მოახლოვებასთან ერთად იაპონიის ჯარების გამოყვანა ჩრდილოეთ სახალინიდან ერთობ გაძნელდება კლიმატიური პირობების გამო".

ამასთანავე კარახანი სთხოვს შეატყობინოს: იაპონიის მთავრობის აზრით კლიმატიური პირობები რა დრომდის იძლევიან საშუალებას, რომ გამოყვანილ იქნენ იაპონიის ჯარები ჩრდილოეთ სახალინიდან. ამას აქვს უდიდესი მნიშვნელობა მოლაპარაკების გაგრძელებისთვის.

დამოკიდებულება საფრანგეთთან

პარიზი. 22 ოქტ. ჰავასის სააგენტოს ცნობით, „წარსულ კვირას რადიოთი გადმოცემული ცნობა, რომ დე-მონზის კომისიამ წარუდგინა ერრიოს დასამტკიცებლად პროექტი დეპეშისა, რომელიც უნდა გადასცემოდა საბჭოთა მთავრობას, არ შეეფერებოდა სინამდვილეს. კომისიის კომპეტენციაში არ შედის ჩარევა იმ პოლიტიკის განხორციელებაში, რომელსაც ის ემხრობა.

ჯერ კიდევ არ არის მიღებული არავითარი გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირისათვის გასაგზავნი ნოტის ფორმის შესახებ.

ყალბი ბრალდება

ნიუ-იორკი, 22 ოქტომბერი. ბორას თავმჯდომარეობით შემდგარია სენატის კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს საარჩევნო კამპანიისათვის პარტიების მიერ გაწეული ხარჯები; ამ კომისიისათვის ჩვენების მიცემის დროს ამერიკის სანაოსნო სამმართველოს თავმჯდომარემ ოკონორმა აღიარა, რომ **მის მიერ ლაფოლეტის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება, თითქოს საბჭოთა მთავრობა ფინანსებს აწოდებდა ლაფოლეტს ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.**

სოფლად მუშაობისათვის

ამხ. ზინოვიევის სიტყვა ნარვის რაიონის მუშათა კონფერენციაზე

მოსკოვი. 23 ოქტომ. მოსკოვი ნარვის რაიონის მუშათა ფართო კონფერენციაზე ლენინგრადში ამხ. ზინოვიევმა წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა, რომელშიაც მან განაცხადა:

„ჩქარა ჩვენ ვიდღესასწაულებთ რევოლიუციის მეშვიდე წლის თავს. ცხადია, რომ წმინდა საქმიან საკითხების გვერდით მუშები საჭიროდ სთვლიან ზოგიერთი უფრო ზოგადი საკითხების დაყენებას. შინაურ ცხოვრების საკითხებიდან ამ ჟამად უმთავრეს საკითხებათ ითვლება ორი: **პირველი—სოფლის, გლეხობა და მასთან დამოკიდებულების საკითხი, მეორე—შრომის ნაყოფიერების გადიდების შესახებ.**

სოფლის მეურნეობა უკანასკნელ ხანებში თანდათან ვითარდება. მიმდინარე წლის მოუსავლიანობამ თუმცა მოახდინა გავლენა სახალხო მეურნეობაზე, მაგრამ არა იმდენად, როგორც ამას ჩვენ მოველოდით. მაგრამ სოფელში ადგილი აქვს ისეთ მოვლენას, რომელსაც მუშებმა უნდა მიაქციონ ყურადღება. ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია სოფლად. ბევრია წერა-კითხვის უცოდინარი. დღეს სოფელი ერთგვარი იჭვით და შურით უცქერის ქალაქის მუშებს.

ამას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

ჩვენ არ შეგვიძლია ავაშენოთ ჩვენი ბიუჯეტი, ჩვენი მეურნეობა, ხელფასი იმისდამიხედვით, თუ რა ხდება ქალაქში. ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ზურგს უკან ათეული მილიონი გლეხია. ამიტომ ჩვენ უნდა გავთანასწოროთ ქალაქს გლეხობის ეს ჩამორჩენილი ნაწილი. სოფელში საბჭოთა ხელისუფლება ისე კარგად არ არის მოწყობილი, როგორც მუშათა ცენტრებში.

სოფელთან კულტურულ კავშირის საზოგადოებას, რომელშიაც სიამოვნებით იღებენ მონაწილეობას უპარტიო მუშები და მუშა-ქალები, აქვს უდიდესი მნიშვნელობა. ნამდვილი ყოველდღიური კავშირი გლეხობასთან მოწესრიგებული იქნება მაშინ, როდესაც ჩვენ შევეძლება მივაწოდოთ მას იაფფასიანი საქონელი, როდესაც კოოპერაციას ჩამოვაშორებთ ბოლოლა გლეხს და კერძო შუამავალს, როდესაც გლეხს მივცემთ ხეირიან სკოლას და გლეხურ გაზეთს.

ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაწოდეთ სოფელს ტრაქტორები, როდესაც ვხედავთ, რომ მოთხოვნილება რამდენჯერმე იზრდება.

ჩვენ უნდა დავაჩქაროთ ტრაქტორების დამზადება და გაუმჯობესება; ჩვენი ტრაქტორი უნდა იყოს უფრო იაფი და უკეთესი, ვიდრე საზღვარგარეთიდან შემოტანილი. ამგვარად ჩვენ მოვსპობთ სოფლად ისეთ განწყობილებას, რომ ვითომ გლეხსა და მუშას შორის უთანასწორობა არსებობს. უნდა გავათანასწოროთ ფრონტი გლეხობასთან, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს გავლენას მოახდენს არმიაზე, წარმოებაზე, საერთოდ ჩვენ აღმშენებლობით მუშაობაზე.

მეორე საკითხი—ეს შრომის ნაყოფიერების საკითხია. უნდა გავარჩიოთ ორი რამ: შრომის ნაყოფიერება და ინტენსივობა. თუ მუშა მეტ ძალღონეს ხარჯავს, ამ შემთხვევაში იზრდება მისი შრომის ინტენსივობა. მაგრამ ეს ყოველთვის არ ნიშნავს იმას, რომ ამით გაიზრდება შრომის ნაყოფიერება. ჩვენთვის საჭიროა სწორედ შრომის ისეთი ნაყოფიერება, რომელიც მოგვცემს მეტს საქონელს: ჩექმებს, ფართალს, ლურსმანს და სხვ.

საერთაშორისო ბურჟუაზიის შეთქმულება ჩვენს წინააღმდეგ უშედეგოთ დამთავრდა იმიტომ, რომ ჩვენ ვეყრდნობოდით მუშა კლასს და მის მჭიდრო კავშირს გლეხობასთან.

უკანასკნელი ცნობები

საფრანგეთთან მოლაპარაკების განახლების წინ

პარიზი 23 ოქტ. ჰავასის სააგენტოს მიერ დეპეშით გადმოცემული ცნობა, რომელიც დაბეჭდილი იყო გაზ. „ეკო დე-პარი"-ში,—დე-მონზის კომისიის მუშაობის შედეგების შესახებ, არ არის სწორი.

დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისიაში ერრიო გამოვიდა განმარტებით ვატიკანში საფრანგეთის საელჩოს შესანახად კრედიტების შეწყვეტის და საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების საკითხის შესახებ. საფინანსო კომისიამ დაადგინა შესწყვიტოს ვატიკანში საელჩოს შესანახად კრედიტების მოკლება. შემდეგ საფინანსო კომისიის მომხსენებელმა მოკანოვსკიმ შეიტანა წინადადება მოსკოვში საფრანგეთის საელჩოს შესანახად 100 ათასი ოქროს ფრანკის გადადების შესახებ. „სოციალისტმა" ბლიუმმა მოითხოვა გადაიდოს ამ საკითხის განხილვა იმ დრომდე, მანამ მთავრობა შემოიტანს წინადადებას მოსკოვში საელჩოს დაარსების შესახებ.

საფინანსო კომისიის ოქმში ერრიოს განცხადება საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების შესახებ ასეა გადმოცემული.

ერრიომ პირველ ყოვლისა აღნიშნა, რომ ის პირობები, რომელშიც უნდა მოხდეს საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობა, მარტივია. ცნობა მოხდება ყოველგვარი პირობების გარეშე, ცნობის აქტში აღნიშნული იქნება მხოლოდ, რომ ძალაში უნდა დარჩეს მიღებული ვალდებულებები და საფრანგეთის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებები. შემდეგ იქნება აღნიშნული ის პირობები საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენისა, რომლებიც გამომდინარეობენ ცნობიდან.

არჩევნები ინგლისში

ლონდონი, 23 ოქტ. ლიბერალების თვალსაჩინო ბელადს მონდს ლაპარაკის საშუალება არ მისცეს საარჩევნო მიტინგზე. ასეთივე მდგომარეობაში ჩავარდა კონსერვატორი ხოჯი სუთუარკში. ასეთივე ამბები განმეორდა მანჩესტერში, გლაზგოში, ბრისტოლში, პლიმუთში. ქ. გლაზგოს მუნიციპალიტეტი, რომელმაც სახელი გაითქვა მუშათა პარტიის საჯარო მიტინგების აკრძალვით, იმუქრება, რომ „სასტიკ ზომებს მიიღებს წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ". ლიბერალებიც პასუხისგებაში მიცემით ემუქრებიან „წესრიგის დამრღვევთ". პოლიტიკურ წრეებში ხაზს უსვამენ, რომ მუშათა პარტიის ერთმა უმარჯვენესმა ბელადმა ჰენდერსონმა თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა, რომ ლიბერალებისა და კონსერვატორების შეთანხმება ნიშნავს კაპიტალისტების ერთიანი ფრონტის შექმნას. შეკავშირებული პარტიების მიზანია მუშათა პარტიის განადგურება.

საარჩევნო შეთანხმება კონსერვატორებსა და ლიბერალებს შორის მოხდა 127 ოლქში, 107 შემთხვევაში ლიბერალებმა თვით სთქვეს უარი თავის კანდიდატებზე კონსერვატორების სასარგებლოდ.



მაქსიმ გორკის უკანასკნელი სურათი
(მისი ავადმყ. ფობის გამო)

ჩვენი ტელეგრამები

რუსეთი

მაქსიმ გორკის ჯანმრთელობა

მოსკოვი, 23 ოქტ. მიღებულია დეპეშა მაქსიმ გორკისგან, რომელიც სორენტოში იმყოფება. გორკი იუწყება, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია.

მრეწველობის ზრდა

ლენინგრადი. 23 ოქტ. წარსული საოპერაციო წლის განმავლობაში ლენინგრადის ლითონის მრეწველობა საგრძნობლად გაძლიერდა. მისი ნაწარმოების ღირებულება მთელი საოპერაციო წლის განმავლობაში შეადგენდა 50 მილიონ მანეთს, წინანდელი წლის კი—38 მილ. მანეთს.

სამეცნიერო დაწესებულებების გამგეთა კონფერენცია.

მოსკოვი. 23 ოქტ. დღეს გაიხსნა ავტონომიურ რესპუბლიკების სამეცნიერო დაწესებულებების გამგეთა კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ მონღოლეთ-ბურიატების რესპუბლიკის, ყირგიზეთის, ყირიმის, დაღესტანის და საქართველოს წარმომადგენლები.

ამხ. მარტი ექიმთა ყრილობაზე.

მოსკოვი. 23 ოქტომბ. ამხ. მარტი ესწრებოდა ექიმთა სრულიად საკავშ. ყრილობას. ყრილობამ მხურვალე ოვაციები გაუმართა მარტის. მან ყრილობას გადასცა საფრანგეთის პროლეტარიატის სალამი. მარტიმ დაახასიათა საფრანგეთის ექიმების მძიმე მატერიალური მდგომარეობა და აღნიშნა, რომ საფრანგეთში არ არის უფასო საექიმო სასანიტარო ორგანიზაცია და მუშა იძულებულია ექიმს თვითეულ ვიზიტისათვის მისცეს 30 ფრანკი.

„რემედასს“-ის საორგანიზაციო სექციის სხდომა.

მოსკოვი. 23 ოქტომბ. „რემედასს“-ის მოსკოვის კომიტ. შეფობა მიიღო სხვადასხვა ქვეყნების 23 ციხეში დამწყვდეულ რევოლიუციონერებზე. ამის გამო დღეს შესდგა „რემედასს“-ის საორგანიზაციო სექციის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ გერმანიის, ბულგარეთის, რუმინეთის, ეგვიპტის და სხვა ქვეყნების კომპარტიების წარმომადგენლები. სხდომაზე მოხდა ციხეების განაწილება მოსკოვის გუბერნიის სხვადასხვა რაიონებსა და მაზრებს შორის.

ექიმთა საკავშირო ყრილობა

მოსკოვი. 23 ოქტ. ექიმთა საკავშირო ყრილობაზე მოსმენილ იქნა ჯანმრთელობის კომისარის ამხ. სიმაშკოს მოხსენება ჯანმრთელობის საკითხებზე.

ამხ. სიმაშკომ განაცხადა, რომ ამჟამად არსად არ მძვინვარებს ეპიდემიები. მიუხედავათ ამისა საბავშვო ეპიდემიასა და მალიარიას მაინც ეტყობა გავრცელება. მათთან სწარმოებს ენერგიული ბრძოლა. საბჭოთა კავშირის საერთო სანიტარული მდგომარეობა მაინც არა დასაკმაყოფილებელია, უმთავრესი მიზეზი ამ გარემოებისა არის—საბინაო საკითხი. სახ. ჯანმრთელობის კომისარიატი მთელ თავის ყურადღებას აქცევს იმ ზომებს, რომელიც მიმართული იქნება საბჭოთა ქვეყნების სანიტარული გაუმჯობესებისაკენ. სახ. კომისარიატი უკვე შეუდგა წესიერ მუშაობას პროფილაქტიური ზომების განსახორციელებლად, რისი უმთავრესი მიზანიც არის მშრომელთა ცხოვრების გაჯანსაღება. ჯანმრთელობის ორგანოებმა ყოველნაირათ უნდა შეუწყონ ხელი ამ საკითხის გადაწყვეტას.

ამხ. სიმაშკო ციფრებით ასურათებს მკურნალობის საქმეს სოფლად და დაასკვნის: მრავალ ადგილის სოფლებში შემცირდა სამკურნალო პუნქტები, მხოლოდ რამდენიმე ადგილას ეჩნევა სამკურნალო დაწესებულებათა გაფართოება. მაინც უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ სახ. კომისართა საბჭოს დეკრეტი—სოფლის მცხოვრებთა საექიმო დახმარების გაუმჯობესების შესახებ—განამტკიცებს სახოფლო-სამკურნალო ნაწილების ქსელს.

მეორე მხრივ ვიღებთ ყოველგვარ ზომებს სოფელში მომუშავე საექიმო შემადგენლობის პირობების გასაუმჯობესებლად.

ბოლოს ამხ. სიმაშკო მოუწოდებს ყველა ექიმებს, გარდა თავის პირდაპირი მოვალეობისა, აგრეთვე უშუალო მონაწილეობა მიიღონ ჩვენი სოფლის კულტურულ აღორძინებაში.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აფხაზეთი

საბინაო ამხანაგობათა წესდება.

სოხუმი. 23 ოქტომბ. ქალაქის საბჭომ შეიტანა განსახილველად სახალხო კომისართა საბჭოში საბინაო ამხანაგობათა დებულება და ნორმალური წესდება.

სოხუმის აგარაკების დათვალიერება

სოხუმი 23 ოქტ. სახალხო მეურნეობის სამმართველოსთან დაარსდა სპეციალური კომისია სოხუმის აგარაკების დასათვალიერებლად.

აზერბეიჯანი

ნავთის ახალი წყაროები.

ბაქო, 23 ოქტ. აღმოჩენილ იქნა ლენქორანიდან 25 ვერსის მანძილზე ნავთის ახალი წყაროები, სადაც შადრევანივით ამოჰქუხს წყალი ნავთით. ლენქორანის მახლობლად აღმოაჩინეს შავი ქვის მადანი. ვიაჟენის მთის ნაპირში აღმოჩენილია აგრეთვე ოქროს თხელი ფენები.

ნავთის შადრევანი.

ბაქო, 23 ოქტ. 20 ოქტომბერს ამუშავდა შადრევანი № 50 ბიბი-ეიბატში, დღე და ღამეში ამოდის 60,000 ფუთი წმინდა ნავთი.

შადრევანი № 23 იძლევა 30.000 ფუთ ნავთს.

სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვისათვის

საქართველოს მიწა-წყალზე მოიპოვება მრავალი უძველეს დროში გაშენებული ეკლესია-მონასტრები, ციხე-კოშკები, სასახლეები, გვირაბები და სხვა მშენებლობათა ნანგრევები, რომელთაც, როგორც ძველი ხუროთმოძღვრებისა და საერთოდ ხელოვნების მონუმენტალურ ძეგლთ, უდიდესი ისტორიულ-არქეოლოგიური მნიშვნელობა აქვთ მეცნიერებისათვის. ამას გარდა ძველ ეკლესია-მონასტრებში, სასახლეებში და სხვაგან დღემდე შენახულა აურაცხელი ფრიად მნიშვნელოვანი სიგელ-გუჯრები და ძველი მწერლობის თუ კულტურის სხვა ნაშთები, რომელთაც აგრეთვე არა ნაკლები მნიშვნელობა და ღირებულება აქვთ ისტორიულ საკითხების გამორკვევისა და გადაჭრისათვის.

ყველა ეს ძეგლები, როგორც საერო და რელიგიურ კულტის შენობები, ისე აგრეთვე ძველ მწერლობისა და კულტურის ნაშთები, იმის გარდა, რომ ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით შეიცავენ დიდ ღირებულებას, წარმოადგენენ იმ ნედლ და მასთან ძვირფას მასალას, რომელიც უნდა დაამუშაოს თანამედროვე მეცნიერებამ საქართველოს წარსულისა და მის კულტურის შესწავლისათვის. მაგრამ ხსენებულ მასალის ამგვარად დამუშავება და მეცნიერულად შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ თანდათანობით და ამ მასალის საჭიროება—მნიშვნელობა მეცნიერებისათვის მარტო ამ მხრივაც კი უეჭველად საკმაოდ დიდი ხნის მანძილით უნდა იქნეს განსაზღვრული.

მეცნიერების მთელი თაობათა ხანგრძლივი და სისტემატიური მუშაობაა საჭირო იმისათვის, რომ ჩვენი წინაპართა მიერ საუკუნეთა განმავლობაში მედგარი შრომით აშენებული ძეგლები, რომელთაც თავისი ბუმბერაზობით, მშვენიერი ჩუქურთმებით და გასაოცარი მხატვრობით თანამედროვე ხუროთმოძღვარნი და მეცნიერნი მოჰყავთ ხოლმე განცვიფრებაში, ჯეროვანად იქნეს შესწავლილი და ისტორიისათვის გამოყენებული. მხოლოდ ვიდრე ქართული ისტორიოგრაფია და სისტორიო მეცნიერება იმ დონეზედ დადგებოდეს, როდესაც საქართველოს სინამდვილეში არსებული მასალები სავსებით და ზედმიწევნით დამუშავებული შესწავლილ იქნება და ამის შედეგათ კი წარსულში ქართველ ხალხის ეკონომიურ-კულტურული, თუ სამხედრო-სამოქალაქო ყოფა-ცხოვრება გამორკვეული,—საჭიროა ჩვენამდე მოღწეული სიძველეთა და ხელოვნების ძეგლები, რომლებიც, როგორც ვსთქვით, აუცილებელ მასალას წარმოადგენენ ამ მუშაობისათვის, დაცულ და შენახულ იქნენ ხელუხლებლად.

სამწუხაროდ, ამ გარემოებას ყველანი სათანადო ანგარიშს არ უწევენ და საქართველოს ტერიტორიაზედ მოფენილ ძველ არქიტექტურის ძეგლებსა თუ ისტორიულ ნივთებს არ ეპყრობიან ისე, როგორც ამას მშრომელთა და მეცნიერების ინტერესი მოითხოვს,—საბჭოთა ზოგიერთი ორგანოები არ ზრუნავენ ეკლესია-მონასტრების შენობათა, [illegible] დაცვა-შენახვაზე. ეკლესია-მონასტრების გაუქმებას უნდა ხელი შეუწყოს და მიესალმოს ყოველი შეგნებული ადამიანი, რომელსაც აინტერესებს ხალხის გათვითცნობიერება და ცრუმორწმუნეობისაგან მისი განთავისუფლება, მაგრამ თვით ძველ ეკლესია-მონასტრების შენობები გადაქცეულ უნდა იქნან სიძველეთ-საცავებად.

საბჭოთა ხელისუფლებამ ამ გარემოებას სათანადო ყურადღება მიაქცია და სიძველთა და ხელოვნების ძეგლთა ხელუხლებლად დაცვისათვის საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტმა გამოსცა საგანგებო დადგენილება (1924 წლის 4 ივნისის № 95), რომლის თანახმად „რემონტი, რესტავრაცია, გადაკეთება, დანგრევა, ან რაიმე მიზნისათვის გამოყენება საერო და რელიგიურ კულტის შენობათა უნდა ხდებოდეს მხოლოდ განათლების კომისარიატთან არსებულ სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმმართველობის წინასწარი ნებართვით“.

ამავე მიზნით განათლების კომისარიატთან ახლახან დაარსებულ იქნა **სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის განყოფილება**, რომელიც, თანახმად მიღებულ დირექტივებისა, უკვე შეუდგა სათანადო მუშაობას. განყოფილების მიზანია საქართველოს მიწა-წყალზე დღემდე დარჩენილ ისტორიულ-არქეოლოგიურ ძეგლთა აღრიცხვაზე აღება და მომავალში ყოველგვარ მოსალოდნელ ხიფათისაგან მათი უზრუნველყოფა. თავის დანიშნულების უკეთ შესრულებისათვის განყოფილება ყველა პროვინციებში რესპუბლიკანურ მასშტაბით აწყობს ისტორიულ და მეცნიერულ თვალსაზრისით ღირებულების მქონე ძეგლთა მეთვალყურე აპარატს, რომელიც ამგვარ ძეგლებს ადგილობრივად გაუწევს მოვლა-პატრონობას და ამავე დროს დაიჭერს უშუალო კავშირს განყოფილებასთან, როგორც რეგულიატორ და ხელმძღვანელ ცენტრთან. ასეთ აპარატის ფუნქციაა უნდა შეასრულონ ადგილობრივ აღმასკომების მიერ დასახელებულ და განყოფილების მიერ რწმუნებულად დამტკიცებულ პირებმა, რომლებიც იმოქმედებენ საქართველოს ცაკის ხსენებულ დადგენილებისა და განყოფილებისაგან მიღებულ ინსტრუქციების თანახმად.

თავისთავად ცხადია, რომ განყოფილების რწმუნებულებს მარტო არ შეუძლიათ თავისი მოვალეობის ჯეროვანად შესრულება, თუ კი მათ მხურვალე დახმარება არ აღმოუჩინეს ადგილობრივმა ორგანოებმა ძალებმა. საჭირო არის სიძველეთა და ხელოვნების ძეგლების დაცვა და მოვლა-პატრონობა თავის მოვალეობად გაიხადონ ადგილობრივმა სამაზრო და რაიონულ აღმასკომებმა, პარტიულ ორგანიზაციებმა და აგრეთვე ყველა პატიოსანმა და შეგნებულმა მოქალაქემ.

ყველა მათ ენერგიული მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ დიად საქმეში და განყოფილების რწმუნებულებს აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება, საუკუნოეთა განმავლობაში ქართველ ხალხის შემოქმედების ძეგლთა ხელუხლებლად დაცვაში.

[illegible]

პარტიული ცხოვრება

ცოტა რამ სოფლად მუშაობის შესახებ

მენშევიკური ავანტიურის შემდეგ საქართველოს კომპარტიის წინაშე მთელი თავისი სიგრძე-სიგანით დაისვა საკითხი სოფლად მუშაობის გაუმჯობესების და გაცხოველების შესახებ. და როგორც ვიცით, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის უკანასკნელ პლენუმზე კიდეც დაადგინა მობილიზაცია უკოს 200 პარტამხანაგებს სოფლად გასაგზავნათ.

ვინ უნდა წავიდეს სოფლათ? რასაკვირველია, ისინი რომლებმაც იციან სოფლათ მუშაობა. მხოლოდ აქ ერთი პირობა უნდა იქნეს დაცული: ეს ის, რომ სოფლათ მიმავალი მუშაკი ისევ თავის მაზრაში, ისევ თავის სოფელში უნდა იგზავნებოდეს, რადგან მას უკვე გაცნობილი აქვს იქაური კუთხე და არ დასჭირდება მისი ახლათ შესწავლა.

აი ასეთი განაწილება, განცხრილვა პარტამხანაგების უთუოდ დიდ ნაყოფს გამოიღებს.

ამასთანავე ერთად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სოფლად მიმავალ პარტ-ამხანაგს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ის მიდის სოფელში ფრიად საპასუხისმგებლო საქმის შესასრულებლად და აი სანამ ის არ შეასრულებს დაკისრებულ დავალებას, არ დასტოვებს სოფლად მისავით მომზადებულ გლეხებს ადგილობრივ-არ უნდა იფიქროს ქალაქში წამოსვლაზე. მხოლოთ ამისათვის კი საჭირო იქნება სოფლად გაგზავნილ მუშაკების მდგომარეობის ყოველმხრივ გათვალისწინება და მათი უნარიანობის მიხედვით დაკმაყოფილება.

აი ამ პირობების სრული დაცვით ადვილი იქნება პარტ-ამხანაგების მობილიზაციის გატარება და სოფლად მუშაობაც გამოიღებს ნაყოფიერ შედეგებს.

დ. ბ.

სოფლად მუშაობისათვის

მიმართვა რ. კ. პ. ყველა ორგანიზაციისადმი

მოსკოვი, 22 ოქტ რუსეთის კომპარტიის ყველა ორგანიზაციებს დაეგზავნა ამხ. მოლოტოვის მიერ ხელმოწერილი მიმართვა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ უკანასკნელმა **პარტიულმა ყრილობამ საერთოდ აღიარა სოფლათ მუშაობის გაცხოველება.**

ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია სოფლის ქვედა საფეხურის პარტიული იაჩეიკების გამაგრება და გაუმჯობესება. ამ მიზნით ცეკამ დაადგინა ნოემბერში და დეკემბერში „პრავდა“-ს ფურცლებზე მოახდინოს „საგლეხო და პარტიული უჯრედების გასინჯვა“. „პრავდა“-ს ფურცლებზე გაშუქებული უნდა იქნეს სოფლის პარტიული იაჩეიკების და სათემო პარტიული კომიტეტების მუშაობა და მათი მდგომარეობა. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს იაჩეიკების როგორც შინაური მდგომარეობას, ისე მათ კავშირს უპარტიო გლეხთა მასებთან და აგრეთვე იმას, თუ რამდენათ უწევენ იაჩეიკები ხელმძღვანელობას საბჭოებს, კოოპერაციას და სოფლის სხვა უპარტიო ორგანიზაციებს. ცეკა მოუწოდებს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს, განსაკუთრებით კი სოფლის ქვედა საფეხურის პარტიულ იაჩეიკებს მიიღონ ყველა ზომები, რათა რაც შეიძლება წარმატებით იქნეს ჩატარებული ეს „დათვალიერება“. საჭიროა „პრავდა“-ში გაგზავნილი იქნეს კორესპონდენციები, რომლებიც დაწვრილებით უნდა აშუქებდენ სოფლის პარტიული იაჩეიკების მუშაობას. კორესპონდენციები უნდა გაგზავნოთ როგორც ცალკე პარტიულმა ამხანაგებმა, ისე მთელმა ორგანიზაციებმა და იაჩეიკებმა. რუსეთის კომპარტია დარწმუნებულია, რომ უპარტიო ამხანაგები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი სოფლის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაშუქებაში.

მე-3 უბნის რკინის გზის მტვირთველ მუშების კომუჯრედში

ა | წ. 10 ოქტომბერს, პარასკევს შესდგა მტვირთველ მუშების მორიგი კომუჯრედის სხდომა. კრება გახსნა უჯრედის პასუხისმგებელმა მდივანმა დათიკო სიხარულიძემ, დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: ლენინგრადში წყალდიდობისაგან დაზარალებულ პროლეტარიატის დახმარება, რაიკომიდან გამოგზავნილ სხვადასხვა ცირკულიარების განხილვა და მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხის,—ლენინგრადის პროლეტარიატის დახმარების შესახებ მოხსენება გაკეთებულ იქნა ადგილკომის თავმჯდომარის, ამხ. საიამშვილის მიერ, რომელმაც აუხსნა უჯრედის წევრებს და დამსწრე უპარტიო მუშებს ლენინგრადის, როგორც ოქტომბრის რევოლიუციის ცენტრის, პროლეტარიატის დახმარების მნიშვნელობა. მოხსენებას ყველანი ერთსულოვნად შეხვდნენ. კრებამ გამოიტანა დადგენილება, რომ დაევალოს ადგილკომს მოიწვიოს მე-3 უბნის რკინისგზის მტვირთველ მუშების გაფართოებული სხდომა, სადაც წაკითხულ უნდა იქნეს მოხსენება ლენინგრადში წყალდიდობისაგან დაზარალებულ პროლეტარიატის დახმარების მნიშვნელობის შესახებ და შეგროვილი იქნეს შემოწირულებანი.

ამის შემდეგ წაკითხული იქნა რაიკომიდან გამოგზავნილი ცირკულიარი უჯრედის მდივნის მიერ, რომელიც კრებამ მიიღო ცნობად.

მიმდინარე საკითხებში იდგა საკითხი ახალი პარტკორების არჩევნის შესახებ. პარტკორებად კრების მიერ ერთხმად იქნენ არჩეული შემდეგი ამხანაგები: საბაიშვილი, ქიმვარდი და სირბილაძე სერგო.

მტვირთველი მუშა.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

წყალსადენის კომკავშირის უჯრედში

ხუთშაბათს შესდგა კომკავშირის უჯრედის მორიგი სხდომა. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: ბიუროს ოქმის დამტკიცება, ახალ წევრების მიღება კავშირში და მიმდინარე საკითხები.

ბიუროს ოქმი უჯრედმა მთლიანად დაამტკიცა. შემდეგ განხილულ იქნა საკითხი ახალ წევრების მიღებაზე, ე. ი. სპარტაკელების რიგებიდან კომკავშირის რიგებში გადარიცხვის შესახებ.

— რისთვის შედიხარ კავშირში? გეკითხებით პიონერს:

— კომკავშირის რაზმების შესავსებათ და განსამტკიცებლათ გვიპასუხებდნენ ახალგაზრდა პიონერები.

ახალგაზრდა პიონერებს ეტყობოდათ, რომ კომკავშირისათვის მომზადებულნი იყვნენ. შეკითხვის დამთავრება და პიონერის პასუხი ერთი იყო ხოლმე.

— ვინ დაარსა „სპარტაკი“? ვეკითხებით სპარტაკელს.

— ბორის ძნელაძემ!..

ახალგაზრდა პიონერების პასუხები უჯრედის დამსწრე წევრებში დიდ აღფრთოვანებას იწვევდა. ყველას ემჩნეოდა უსაზღვრო სიხარული ახალი გამარჯვებისა, რომ ჩვენ კავშირს ემატება ასეთი წევრები.

ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ სპარტაკელნი და პატარა პიონერები არიან მომზადებულნი ისე, როგორც ეს საჭიროა საერთოდ.

ამ მიზნით ყველას აძლევდნენ თითო წელიწადის საკანდიდატო სტაჟს.

კავშირში მიღებული იქნა მუშებიც თანახმად რაიონიდან მიღებულ ცირკულიარისა. მოწაფეების მიღება კი ჯერ-ჯერობით არ სწარმოებს.

მიმდინარე საკითხებში გაირ- [illegible] ინსტრუქტორი ამხ. დოლ [illegible] გზავნილი რაიკომის მიერ უჯრ მუშაობის სახელმძღვანელოდ. დაადგინა გამოეცხადოს მას დის სახელით საყვედური და ვის არსებულ რაიკომს გამოეგზ ინსტრუქტორად მომზადებული ნაგი, მხოლოდ დაეიდოს კი თხოვოს პასუხი საქმის გულგრ ბისათვის.

იმედია არსენალის რაიკომი გვიგზავნის უფრო მომზადებულ ინ-სტრუქტორს, რომელიც უხელ ლებს უჯრედს და ამასთანავე წასწევს წევრთა კულტურულ დონ

[illegible]

როგორ ჩატარდა პოლიტშემოწმება თბ. ალმასკომ

ახალგ. ლ. კ. კ. უჯრედში

პირველად ჩვენს კომკავშირის ორგანიზაციაში ჩატარებულ პოლიტშემოწმების შემდეგ ყოველ დღე ისმოდა დაპირება მეცადინეობის დაწყების შესახებ ერთის მხრივ, მხოლოდ მეორეს მხრივ უჯრედის წევრთა მოთხოვნილებას საზღვარი არა ჰქონდა: „პოლიტ-სკოლაში გვინდა მეცადინეობაო“, რომელსაც უჯრედების ბიურო რასაკვირველია ვერ აკმაყოფილებდა. მაგრამ ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობით, საქმის სერიოზულად ხელის მოკიდებით და ადგილობრივი, საკუთარი ძალების ყოველმხრივი გამოყენებით ალმასკომის კომკავშირის უჯრედის წევრები პოლიტიკური ცოდნის მიღების სფეროში მაინც ერთ წერტილზე არ გაიყინენ. ამას სხვათაშორის მოწმობს დღევანდელი ციფრები პოლიტ-შემოწმებისა თუ კი წინანდელი შემოწმების დროს უჯრედის წევრთა უმრავლესობა მოჰყვა პირველ ჯგუ ფულ მცირე რიცხვი მეორე ჯგ და მხოლოდ ერთი ამხანაგი ჯგუფში,—დღეს კი სრულიად იცვალა სურათი. უჯრედის 45 რიდან პირველ ჯგუფში 12-მდე, მეორეში 20-მდე. მესამეში 13-მდე წევრი. უჯრედის მუშაობაში დიდ მიღ უნდა ჩაითვალოს.

ამხანაგები პოლიტშემოწ დროს საუბარში აქტიურ მონ ლეობას იღებდნენ. თითქმის ყველ თავის დროზე გამოცხადდა. ამჟამად კი მორიგი ამოცანა მეცადინეობის დაწყება, რისთვ ვისწრაფვით სათანადო ორგანი და კვალიფიციური ენერგიული მებია ძილეთით წევრთა ლიტიკური სწავლა განვითარება

პარტკორი ნინა სალ

ამხ. არჩილ (როსტომ) დოლიძის ხსოვნას



ამხ. არჩილ დოლიძე

ექვსი წელი სრულდება რაც, 13 ნოემბერს საქართველოს კომპარტიამ დაჰკარგა ერთი საუკეთესო ძველი [illegible] ხელმძღვანელი ამხ. არჩილ დოლიძე.

ვინ იყო და რას წარმოადგენდა მშრომელი მასისათვის ამხ. არჩილი?

არჩილი იყო პროფესიით ექიმი, რომელიც ბავშვობიდან ჩაება რევოლიუციონურ მუშაობაში, ის იყო აქტიური და ხელმძღვანელი ბოლშევიკურ მოძრაობის. მისი, როგორც სამხედრო ექიმის, მუშაობის ცენტრი იყო გადატანილი ჯარში, ის ქმნიდა ჯარში ბოლშევიკურ ორგანიზაციებს, რისთვისაც მას უხდებოდა ბრძოლის წარმოება, როგორც თვითმპყრობელობასთან, ისე მენშევიკებთან და ესერებთან, რასაც ის ხშირათ სიკვდილის კარებამდის მიუყვანია. მაგრამ ის მაინც რჩებოდა მტკიცედ და ურყევი განაგრძობდა თავის მუშაობას, ამით მან დიდი სამსახური გაუწია კომპარტიას.

უკანასკნელათ, როდესაც ოსმალეთის ფრონტიდან ბრუნდებოდნენ ჯარის ნაწილები, ის ხელმძღვანელობ ამ ჯარს. დაბრუნებულ ნაწილებს და აელოთ თბილისი და გა ფლებიათ ქართველი ხალხი მე კის ჯალათებისაგან, რის შე უნდა გამხდარიყვნენ ჩრდი ლო კავკასიაში ალექსეევ-კორნი ის თეთრგვარდიელების წინააღმ მაგრამ ეს არ მოხერხდა.

როცა ჯარის ნაწილები მიემ ბოდნენ ჩრდილო-კავკასიაში სა ძოლველად ვერაგ ნოე რამიშვ და სხვა მენშევიკებმა მოაწყვეს ხოცვა-ჟლეტა ძამხორში. მათ ლი იძულებული იყო თავი შეეფ ბია პროვინციისათვის და ეწვია რიას. იმ დროს გურიის ხელმძღვ ლი ორგანო არსებობდა ლანჩხუ და ამხ. დოლიძეც იქ დაბინავდა.

აქ არჩილი ჩაება აქტიურ მუ ბაში. ის ჩვენთან ერთად დადი თემებში, აწყობდა ბოლშევ წრეებს, უხსნიდა გლეხებს ჩვენს პრ გრამას. მისი ახალ-გაზრდობის დიდი ნაწილი გლეხობისა უგრძნობდა კომპარტიას.

ამ მოვლენამ ძალზე შეაშინა მ [illegible] დენა, დააპატიმრეს და გაგზავნეს თავის საპყრობილეში. იქ იყვნენ არჩილი რამდენიმე თვე, როცა დაიღ დაალონა გურიის გლე არჩილი ციხეში ტიფით თავისუფლების მერე ხანგრძლივ მოვლებით 1918 წ. 13 ნოემ გარდაიცვალა. ამხანაგებმა ის ეს მის სამშობლოში ს. ამაღლ

ლანჩხუთის რაიონული კომი კომპარტიისა აცნობებს გურიის განიზაციებს და ამხანაგებს, რომ ნოემბერს ს. ამაღლებაში არჩი საფლავზე გადახდილ იქნება მოკლე პანაშვიდი მისი გარდა ლების ექვსი წლის თავზე.

არჩილი მოკვდა, მაგრამ მისი სა ნა დარჩება დაუვიწყარი მისი ნაგების გულში.

პარმენ ცინცა

ანატოლ ფრანს

(1844—1924 წ.)

ზოგადი დახასიათება



ანატოლ ფრანს

ანატოლ ფრანს უწინარეს ბრძენია და მერე მწერალი. იგი ყოველთვის ფილოსოფიურად არის განწყობილი და არასოდეს არ ღალატობს ამ მთავარ სულიერ განწყობილებას. აქედან არის, რომ მისი შემოქმედება მოკლებულია უშუალობას, და დამოუკიდებელი მხატვრული ინტუიცია უცნობია ანატოლ ფრანსისათვის.

ერუდიცია მას თემებსა და იდეებს აძლევს, ხოლო შრომა და დაწურული ოსტატობა—ფორმას. სტილიზაცია მისი ჩვეულებრივი მხატვრული მანერაა.

სხვა მწერალი ასეთი საშუალებებით შორს ვერ წავიდოდა. ფრანგული ლიტერატურული კრიტიკაც ბოლო დრომდის ცივად ხვდებოდა ანატოლ ფრანსს.

იშვიათ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მიუხედავად ბუნებრივი ფარგალისა, რომელშიაც მოქცეული იყო ანატოლ ფრანსის ნიჭი, მან მაინც შესძლო თავის სამშობლოს დიდი სულიერი კულტურის მწვერვალების დაპყრობა.—მას ეკუთვნის იმ ტაძრის დამთავრება ფრანგულ ლიტერატურაში, რომელზედაც მთელი საუკუნის განმავლობაში მუშაობდნენ ერთი სტილის გენიის წარმომადგენლები, დაწყებული ჰენრი სტენდალიდან და გათავებული რენანით.

ეს არის უნივერსალური ხასიათის სკეპტიციზმი, რომელსაც ახასიათებს სულიერი არისტოკრატიზმი, გონების თავისუფლება, ანტიდოგმატიური აზროვნება და ჰუმანიური ინდივიდუალიზმი.—ყველაზე უფრო ფრანგებმა შესძლეს მისი გამოხატვა.

რამდენადაც ეს მსოფლმხედველობა მე 18 ს. სენსუალისტური ფილოსოფიის გაგრძელებაა, იგი ძველია და დრომოჭმული, როგორც ფილოსოფიაში, ისე მწერლობაშიც. მაგრამ მისი სურნელი არ შეიძლება საამო არ იყოს, განურჩევლად დროისა, ყველასათვის, ვისაც ესტეტიურად განუცდია წუთისოფელი და ცდის თვალით განუჭვრეტია მის ჭეშმარიტებათა ღირებულება.— ანატოლ ფრანსიც ამ მსოფლშეგრძნობის უკანასკნელ ყვავილებს გვაწვდის, და ჩვენც უკანასკნელად ვიხიბლებით მათგან... უკანასკნელად, ვამბობ, იმიტომ, რომ ა. ფრანს დასრულებაა, უკანასკნელი გამარჯვების მახვილი ამ სკოლისა.

* * *

ანატოლ ფრანსია მგონია, პირველმა დაამტკიცა, რომ **წიგნი** შთაგონებით დამოუკიდებელი წყაროა, რომელიც შემოქმედების ინიციატორის როლს თამაშობს ჩვენს დროში და გარდაუვალ ღირებულებათა მატარებელია.—მრავალი ეპოქა ჩაინთქა წარსულის უფსკრულში, მრავალი ცივილიზაცია ჩაქრა საუკუნეთა განმავლობაში და მრავალმა სიბრძნემ შესწყვიტა მეტყველება; და თუ არა წიგნი, კაცობრიობის სულიერ სალაროში არ დაილექებოდა ის განძი, რომელიც რჩება საუკუნეთა მდინარებას, როგორც ნამდვილი ღირებულება და გზას უნათებს შთამომავლობათ.

არავინ არ იცის ისე წიგნის ფასი, როგორც ან. ფრანსმა. წიგნი მას უღრმეს განცდას ანიჭებს და მსოფლიოს სულთან აკავშირებს.

ამიტომ არის, რომ ა. ფრანსი მთელი თავისი შემოქმედებით წიგნზეა დამყარებული. მის კალამს წიგნებში ნაპოვნი იდეები და სახეები ამუშავებს. მას არ შეუძლია წერა, თუ თვალწინ „დედანი“ არ უდევს,—წყარო მისი იდეური და მხატვრული შთაგონებისა.

„...გაშლილი წიგნი მიდევს მაგიდაზე ანთებულ ლამპის წინ და ის გარემოება, რომ იგი ჰგავს მაგიის წიგნს, ისეთ გრძნობებს მიღძრავს ამ ყრუ ღამეში, თითქოს ფაუსტი ვიყვე ჩემს წიგნებსა და ქაღალდებს შორის... ვგრძნობ, თითქოს, გადავშლი თუ არა მის შეყვითლებულ ფურცელს, მყისვე ვიპოვი იმ მაგიურ ნიშანს, რომლის საშუალებით ალქიმიკოსები იწვევდნენ თავიანთ ლაბორატორიაში თეთრი სინათლის შუქის მსგავს ელენეს...

„სრულიად მიპყრობს ოცნება. მოკრძალებით გადავშლი ფურცელს, რომელიც ჩემამდე ან უკვე მტვრად ქცეულს სხვა ხელს გადაუშლია, და თუმცა მისტიურ პენტაგრამმას ვერ ვპოულობ, მაგრამ რომზმარინის გამხმარ რტოს მაინც ვხედავ:—ოდესღაც ვიღაც შეყვარებულს ჩაუდვია იგი ფურცლებ შორის. რტოზე შემოხვეულ თხელ ქაღალდზე ვკითხულობ გახუნებულ წარწერას: **„მე მარიამში ძალიან მიყვარს. ივნისის 26, 1695 წ.“** —(„ქლაგრატის გამართლება“)

ანატოლ ფრანს განსაკუთრებით ძველ წიგნებს ეტრფის. მას არ ეშინია სთქვას, რომ შეგნებული პლაგიატია და მთელი მისი ხელოვნება იმაში გამოიხატება, რომ ძველ აზრებს და სახეებს ახალ ფორმებში მოსავს.

„თანამედროვე ჩვენს ლიტერატორებს რატომღაც ჰგონიათ, რომ აზრი შეიძლება ვისიმე საკუთრება იყოს. ძველად ასეთი აზრი თავშიც არავის მოუვიდოდა. არავის არ აქვს საფუძველი სთქვას, რომ ესა და ეს აზრი მე დამებადა და ჩემამდე სხვას არ ჰქონებიაო. იდეები საყოველთაო საკუთრებას წარმოადგენენ, და არ შეიძლება ითქვას: „ეს ჩემი აზრია“. ძველი აზრების ახალ ფორმებში გამოთქმა—აი, რა არის მთელი ხელოვნება და “შემოქმედება“. (ibid).

და ანატოლ ფრანს უხვად სარგებლობს როგორც ქრისტიანულ აგიოგრაფების ნაწერებით, ისე ძველი და თანამედროვე მწერლების იდეებითა და სიუჟეტებით. მხოლოდ ფორმის მხრით არის იგი დამოუკიდებელი, და აქ კი მას, მართლაც, იშვიათად თუ ვინმე შეედრება.—გარდა ამისა, რომ ა. ფრანს სტილის უდიდეს ოსტატად ითვლება ფრანგულ ლიტერატურაში, ის გამომხატველია ფრანგული სულის უაღრესი სამკაულისა: მზიური გონებამახვილობის და მხატვრული ზომიერების.

ეს თვისებები კი იმ ჯადოს წარმოადგენენ, რომლითაც იხიბლება მკითხველი და იფარება არსებითი ნაკლი ან. ფრანსის შემოქმედებისა: ფაბულის განვითარების ხარჯზე ფილოსოფიურ-ესტეტიური თეორიების გაშლა მკრთალ ბელლეტრისტული ფანტაზიის ფონზე...

* * *

წარსული საუკუნის მე-70-იან წლების პოლიტიკურმა და საზოგადოებრივმა ატმოსფერომ საბოლოოდ ჩამოაყალიბა ან. ფრანსის მსოფლმხედველობა. ეს იყო უაღრესი რეაქციის დრო, როცა უიმედობით მოცული ფრანგული საზოგადოების რევოლიუციონური ნაწილი დაბნეულად იდგა დამსხვრეული რესპუბლიკანურ სოციალისტური იდეალების წინაშე და ვერსად ჰპოვებდა თავშესაფარს. მეცნიერებაც და ხელოვნებაც კი ვერ ამართლებდნენ მის იმედებს.

ანატოლ ფრანსმაც განიცადა ამ საერთო სასოწარკვეთილების სიმძიმე. ის დაეწაფა ლიტერატურას, პოეზიას. თანამედროვება მას არაფერს არ აძლევდა. იგი ისევ თავის სიყრმის საყვარელ ტ. ლივიუს, ჰომეროსს, სოფოკლეს და სხ. დაუბრუნდა. ანტიური ქვეყანა სილამაზისა და გონიერების კერად გადაიშალა მის წინ. ის შეიქნა ფილოლოგი და უაღრესი მცოდნე ყველა დროის ლიტერატურისა, განსაკუთრებით რენესანსის ეპოქისა და მე-18 საუკ. ლიტერატურულ-ფილოსოფიური ავლადიდებისა.

ამ გზით ანატოლ ფრანსი მივიდა რენანთან, რომლის იდეების გავლენის ქვეშ რამდენიმე ათეული წელი იმყოფებოდა მთელი ევროპის ინტელიგენცია.

პოლ ბურჟე რენანის მსოფლმხედველობას ახასიათებს, როგორც დილლეტანტიზმს. იხ. მისი (Essais de psychologie contemporaine) ფრანგულ ლიტერატურაში დილლეტანტიზმი ჩვეულებრივი ტერმინია რენანისებური სკეპტიციზმის აღსანიშნავად. ჩვეულებრივ დილლეტანტობასთან მას არა ფერი საერთო არა აქვს.—რენანი დიდი სპეციალისტი იყო თავის საგნისა და მეცნიერი.

ფილოსოფიური სკეპტიციზმი რენანმა უკიდურეს განვითარებამდის მიიყვანა. რამდენადაც ის სცდილობს შეარიგოს სრულიად მოწინააღმდეგე დებულებანი და არც ერთიც კი არ უარყოს, იმდენად მის ფილოსოფიის დილლეტანტური ეწოდება.

ვულგარულად გაგებული სკეპტიციზმი უარყოფას ნიშნავს. ფილოსოფიური კი, ან დილლეტანტიზმი, პოლ ბურჟეს თქმით, „უფაქიზესი მეცნიერებაა გონიერ-სულიერი გარდაქმნისა“. ეს მოითხოვს ინტელექტუალურ განვითარების უაღრეს სიფაქიზეს. ცხოვრების ყველა ფორმის მიღება ისე, რომ არც ერთი არ გაიზიარო და იმავე დროს არც ერთიც არ უარყო, რასაკვირველია, უძნელესი საქმეა.

ყოველ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს საქმე უაღრესად ინდივიდუალისტური მსოფლმხედველობასთან, უკეთ რომ ვსთქვათ, რჩეულთა, გონების არისტოკრატთა ფილოსოფიასთან, რომლის გააბსურდება მოსალოდნელია ყოველ მომენტში. ეს დამოკიდებულია გონების ჰორიზონტისაგან, თუ კი შეიძლება წარმოვიდგინოთ განვითარების ისეთი ჰორიზონტი, რომელშიც თანასწორად თავსდება ყველა ჭეშმარიტება და მათი უარმყოფელი დებულებებიც ერთსა და იმავე დროს.

ანატოლ ფრანს ეზიარა ამ მოძღვრებას. ცოდნა, კულტურა და ტემპერამენტი ნებას აძლევდნენ მას შეეგრძნო ქვეყნიერება ამ მსოფლმხედველობის თვალსაზრისით. ამავე დროს ფორმის ოსტატობა და უაღრესად განვითარებული მხატვრული გემოვნება შველოდნენ მას შეენელებინა ის წინააღმდეგობანი, რომლებიც თან სდევენ მის ფილოსოფიას და სხვა მწერალს პირველ გამოსვლისთანავე უთუოდ დაამარცხებდნენ.

* * *

ანატოლ ფრანსის მოღვაწეობა ლიტერატურით არ განისაზღვრება. ვიდრე ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვიდოდა და პარნასელების ჯგუფს შეუერთდებოდა, როგორც პოეტი, ა. ფრანს პოლიტიკურ მებრძოლად მოინათლა.—იგი იბრძოდა ახალგაზრდობაში ნაციონალური გვარდიის რიგებში და საყვარელ პარიზს იცავდა გარეშე მტრებისაგან.

შემდეგშიაც, მიუხედავად თავისი უკიდურესი სკეპტიციზმისა და ინდივიდუალისტური მსოფლმხედველობისა ეს „სულის არისტოკრატი“ ყოველთვის ჰპოვებდა დროს დემოკრატიზმისა და სოციალიზმის ფრონტზე საბრძოლველად.

განსაკუთრებით აფრთოვანებდა მას სამღვდელოებისა და კლერიკალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. მასში მეტყველობდა ძველი გალური წარმართული სული და შეურიგებელი მოწინააღმდეგე იყო ქრისტიანიზმის. მისი საუკეთესო პოლიტიკური გამოსვლები დაკავშირებულია ანტიკლერიკალური ბრძოლის ეპოქასთან საფრანგეთში.

ან. ფრანსი ჟ. ჟორესის მეგობარი იყო და იშვიათად გაიმართებოდა პარიზში დიდი მიტინგი სოციალისტური პარტიის მიერ, რომელზედაც ფრანსი თავმჯდომარე არ ყოფილიყო ან სიტყვა არ წარმოეთქვა.

1914 წლ. ომმა როგორც პოლიტიკურ პარტიებს, ისე ბევრს პოლიტიკურ მოღვაწეს დაუკარგა წონასწორობა. მწერალთა შორის მხოლოდ რომენ როლლანმა არ დასთმო თავისი პრინციპები. მან ამჯობინა სამშობლოდან გასვლა და კომპრომისზე არ წავიდა. რაც შეეხება ანატოლ ფრანსს იგი დროებით შეირყა.

მსოფლიო ომის შემდეგ ან. ფრანსი უკიდურეს მემარცხენეებისკენ გადიხარა. იგი მიეკედლა ანრი ბარბიუსის ჯგუფს Clarté,-ს, და პირველი ფრანგთაგანი იყო, რომელმაც ხმა აღიმაღლა რუსეთის დიდი რევოლიუციის დასაცავად.

მიუხედავად მრავალი პოლიტიკური გამოსვლისა და სოციალისტების რიგებში მუშაობისა, ან. ფრანსი მაინც პოლიტიკურ მოღვაწედ არ ჩაითვლება, ამ სიტყვის სპეციალ მნიშვნელობით. მას არ ჰქონია ერთი გეზი პოლიტიკურად, და მისი ხასიათებელი „იმპრესიონიზმის“ ლობით არა ერთი მარკსიანი ჯი გადაუდგამს.

დამახასიათებელია, რომ პოლ კური მეგობრები ხშირად გამოჰ მას თავის რომანებში და სი აცრიდა როგორც მათ რწმენას, მოღვაწეობასაც.

მისი შესანიშნავი რომანი „ღ თებს სწყურიათ“ გამოჰქრება 1 წ. რევოლიუციის გმირებს ფ ტიზმის წინააღმდეგ.

ამბობენ, ამ რომანის გამოსვ დროს დიდი საარჩევნო კამპანია დიიარქობდა მთელს საფრანგე ანატოლ ფრანსს თავის რომ კორრექტურა ეჭირა ხელში და თავმჯდომარეობდა ერთ-ერთ ჩევნო კრებას, სოციალისტების დიდატები კი ამ დროს ჰპირდე ნენ ამომრჩევლებს, რომ აღადგენ 1793 წლის დიდი რევოლიუ ბრძოლის ტრადიციებს მისი ციპებითა და მეთოდით. (გ „ან. ფრანს“).

ეს არის, პოლ ბურჟეს სიტყვ გავიმეოროთ, „სულიერ-გონებ გარდაქმნის“ ერთი მომენტთაგ როცა არც ერთი ფორმა ცხოვრ სა არ არის უარყოფილი, მ არც გაზიარებულია.

ეს მისაწვდომი იყო ან. ფრ გონებრივი ჰორიზონტისათვის.

ასეთი იყო ანატოლ ფრანსი, მელიც ყველა ჭეშმარიტებას და ლა ცდომილებას ერთნაირად რებდა თავის საუკუნეთა დამ სულის სიმაღლიდან.

ხოლო ხიბლავდა მას ორი ქვეყანაზე: დახვეწილი სიტყვა მახვილი აზრი,—ერთიც და მე ემორჩილებოდა ამბრძეს...

ლეო ქიაჩე

პარასკევი 24 ოქტომბერი 1924 წ. № 244 (1019)

„კომუნისტი“

მიიღება
მუშა მოხამ
მოსწ ვლ. ახალ
ჯ ნცი-ში

1 თვით 65 კაპ., 2 თვით—

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პროფკავ. მე-4 ყრილობა

მესამე დღე, საღამოს სხდომა

კავშირების სატარიფო-ეკონომიური მუშაობისათვის

(მომხსენებელი ამხ. ს. ჯუღელი)

რომის ნაყოფიერების გასადიდებლად.

მომხსენებელი აღნიშნავს რა შრო- ის ნაყოფიერების საგრძნობლად ამორჩენას სამუშაო ხელფასისაგან, თვლის არსებულ ურთიერთობას რომის ნაყოფიერებასა და ხელფა- ს შორის მავნებლად მრეწველო- ის ინტერესებისათვის. კავშირების ავრთიერესი საზრუნავი საგანი უნდა ოდეს ნაყოფიერების ზრდა რისთ- ისაც საჭიროა მუშის პირადი ინ- ენსიობის გაძლიერება, ნორმალური უშაო დღის სრულიად გამოყენება ამომუშავება, ნორმის აწევა. გარდა მისა კავშირებმა ყურადღება უნდა აქციონ იმ საორგანიზაციო, სა- ეურნეო და ტექნიკურის საშუალე- ებს, რომელიც წინ სწევს შრომის ნაყოფიერებას.

ხელფასისათვის.

მომხსენებელი სატარიფო დარგში ჭიროდ სთვლის მსუბუქ ინდუსტ- რიის ზოგიერთ ჯგუფებისათვის ხელ- ფასის შემცირების, ხოლო ჩამორჩე- ნილ ჯგუფებისათვის მომატებას. სათანადო ორგანოებმა უნდა მოახ- დინონ ძალაურ ნაწილებში ცვლილების შეტანა და საქონლის ფასების შემ- ცირება, რომ შესაძლებელი გახდეს ოლური ხელფასის ზრდის შენარჩუნება. ნარდ სამუშაოზე უნდა დაწესდეს ითი ხელფასი. შრომის ნაყოფი- რების ასაწევად შემოღებული უნდა იქნეს ადმინისტრატიული და ტექნიკური პერსონალისთვის წამქეზებელი სისტემა.

შრომის ხელფასის სწორი განაწილება აგრეთვე დიდ გავლენას ახდენს შრომის ნაყოფიერებაზე. მომხსენებელი საჭიროთ სთვლის სატარიფო ქსელის გაფართოებას ყველა წარმოებებში 1.:8-მდე. საჭიროა, აგრეთვე მაღალ კვალიფიკაციის მუშათა განსაკუთრებულ ჯგუფად გამოყო[illegible] და სპეცების ხელფასის ფონდის გ[illegible]საზღვრა, რომელიც პროცენტულად უნდა შეეფარდდეს ხელფასის საერთო ფონდს.

კავშირების ეკონომიური მუშაობა.

განვლილ საანგარიშო პერიოდში დაბალ საკავშირო ორგანოების ეკონომიურმა მუშაობამ საგრძნობლად გამოაცოცხლა კავშირების მუშაობა და დიდი სამსახური გაუწია ქვეყნის მეურნეობის მოწესრიგების საქმეს.

შემდეგისათვის კავშირებმა უნდა გააღრმაონ ეს მუშაობა, რომლის საუკეთესო ფორმად უნდა ჩაითვალოს საწარმოო თათბირები. ამ უკანასკნელთა საერთო ხელმძღვანელობა კვლავ უნდა იკისრონ საქარხნო კომიტეტებმა, რომელთაც თათბირის მუშაობაში უნდა ჩააბან ყველა აქტიური მუშა.

კ ა მ ა თ ი

ამხ. ჯუღელის მოხსენების გარშე- იმართება კამათი. ოპონენტები ტყვევენ შრომის ნაყოფიერების და- ის მიზეზებს და მის მიზეზად თვლიან, არა იმდენად შრო- ის ინტენსიობას, რამდენად ფიზიკურ დატვირთვის უქონლობას ა მის არა რაციონალურ განაწი- ლებას. აღსანიშნავია სიტყვა ამხ. ეკოვის, რომელიც მოითხოვდა, რომ ყოველი საწარმოო ჯგუფი ნა- ყოფიერების და ხელფასის საკითხს ნდა მიუდგეს არა ჯგუფურს, არა- ედ სახელმწიფოებრივი თვალსაზ- რისით.

ამხ. შალ. ხირაძე ეხება რა მასწავლებლების ხელფასს, მასწავლებელთა შრომის ნაყოფიერების გადიდების თვალსაზრისით მოითხოვს, რომ მასწავლებელთა ხელფასი გაუთანაბრდეს საშუალო კვალიფიკაციის მუშის ხელფას.

ამხ. ათაბეგოვი მიზანშეწონილად სთვლის ხელფასის საჭრელს მოსპობის მიზნით სატარიფო ქსელის გათანაბრებას.

კამათში მონაწილეობას იღებენ ამხ. ყურულაშვილი, ფისელოვი და სხვა.

თეზისების განსახილველად არჩეულ იქნა კომისია.

მეოთხე დღე, დილის სხდომა

საორგანიზაციო მუშაობისათვის

(მომხსენებელი ამხ. ატოევი)

განვლილ პერიოდში ზოგიერთმა ერთიანებულმა საფაბრიკო-საქარ- ო კომიტეტებმა მეტის-მეტი სიდი- ის და წარმოება-დაწესებულებისა- ან ტერიტორიალური სიშორის გა- მო, მუშაობის უნარი ვერ გამოიჩი- ს მიტომ მომხსენებელი საჭიროთ ცნობს ამ დაწესებულება-წარმოება- ი, სადაც მუშა-მოსამსახურეთა რი- ხვი 20—60 კაცს უდრის, არჩეულ ქნეს ადგილკომის 3 წევრი, სადაც 50—100-მდე არის 5 წევრი, 100—300 კაცზე 7 წევრი და 300 ზევით 9 წევრი.

აკავშირო აპარატის გაუმჯობესება.

მომხსენებელი ეხება რა საკავშირო რგანოების სტრუქტურას, საჭიროდ თვლის ცენტრის სამდივნოების გა- ერთიანებას პრეზიდიუმად, სადაც შევიდნენ გამგეობის მიერ ნაჩვე- ნები გზით, ხოლო მაზრებში უნდა აუქმდეს პრეზიდიუმი და კავშირის მუშაობაში ჩაებას გამგეობის ყველა წევრები, კავშირების გამგეობის ვა- და 6 თვის ნაცვლად 1 წლით უნდა განისაზღვროს. მომხსენებელს სა- ჭიროდ მიაჩნია აგრეთვე ყრილობაზე ჩევა პროფსაბჭოსი, რომელშიაც შევიდნენ სამაზრო ორგანიზაციების და ავტონომიურ რესპუბლიკების პროფ- საბჭოს წარმომადგენლები, აგრეთვე საჭიროა დაარსდეს საბჭოს პლენუმის სესიების მოწვევა და სხვა.

პროფორგანოების მოვალეობანი წევრთა წინაშე

მომხსენებლის აზრით, საკავშირო ორგანიზაციებმა თვალყური უნდა ადევნონ, რომ კავშირის წინაკით კრებლობის შესახებ სახ. კომ. საბ- ჭოს დადგენილება ცხოვრებაში ტარ- დებოდეს, როცა კავშირის წევრი ამა ან იმ ორგანოს მიმართავს. მომხსე- ნებელი საჭიროდ სცნობს კავშირე- ბის მიერ სხვადასხვა კამპანიების მა- ქსიმალურად შემცირებას, განსაკუ- თრებით ისეთის, რომელთა მიზანი არის საწევრო ანარიცხის აღება.

წ ე ვ რ ო ბ ა

წევრად მიღების დროს საჭიროა უდ იქნეს სიფრთხილე, რომ კავშირში თავი არ მოიყარონ არაპროლეტარულმა ელემენტებმა. მაგრამ ამავე დროს კავშირში შემავალ მუშა-მოსამსახურეებს არ უნდა დავახვედროთ, წინ ფორმალური სიძნელე. გამორიცხვა კავშირ. უნდა ხდებოდეს საზოგადო კრების მიერ ფხიზლად და საქმის წინასწარ შემოწმების შემდეგ. კავშირის წევრების სისწორით აღრიცხვის, სოციალური შემადგენლობის შემოწმების მიზნით და აგრეთვე იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად განმტკიცდა კავშირების ურთიერთობა მასსებთან, მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია, რომ 1923 წლის დასაწყისში ჩატარდეს წევრების ხელ-ახალი აღრიცხვა.

ფინანსები.

მომხსენებლის აზრით, საჭიროა ცენტ. გამგეობებმა ხშირად შეამოწმონ უჯრედების მდგომარეობა და სარევიზიო კომისიებში გააძლიერონ მუშაობა. ყოვლად შეუწყნარებელია სხვადასხვა ანარიცხების შემოღებით საწევრო გადასახადების გადიდება. პირიქით, მომხსენებლის აზრით საჭიროა გადასახადის შემცირება შემდეგი ნორმის დაწესებით: 2 პრ.—1 საწევრო გადასახადი, ნახევარ პროც. ურთიერთ დამხმარე სალაროსთვის და ნახ. უმუშევართა ფონდის სასარგებლოდ,—სულ—3, ერთდროული გადასახადი წევრთა შესვლის დროს უცვლელად უნდა დარჩეს.

ურთიერთ დამხმარების კასები

კასების მასსებთან დასაახლოებლად და წევრებისათვის დახმარებისათვის დროზე მისაწოდებლად, მომხსენებლის აზრით, საჭიროა დიდ წარმოება-დაწესებულებაში მოეწყოს დამოუკიდებელი კასები და ხშირი მოწვევა საზოგადო კრებები სადაც უნდა იკითხებოდეს კასის ბიუროს ანგარიში.

ქალთა, უმუშევართა, ახალგაზრდათა და პროლეტარულ სტუდენტთა შორის და სოფლად მუშაობის სფეროში მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია გაღრმავებულ იქნეს კავშირების საქმიანობა მიღებულ გამოცდილების თანახმად.

კ ა მ ა თ ი

მოხსენების გარშემო გაიმართა კა- მათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ტერ-კაპლოვმა, ბუნიამ, იზმაილმა, ცომაიამ, ალ- ფეიძემ, ელბაქიძემ, სვმკოვმა და კამათი უმთავრესად შეეხებოდა წევრთა მიღების საკითხს, დროებით მუშავების წევრად მიღებას და აპარატის ცვლილების საკითხს. თეზისების განსახილველად არჩეულ იქნა კომისა 15 ამხანაგისაგან. მორიგ მოხსენებას კითხულობს ამხ. ყურულაშვილი. „მუშათა შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესების შესახებ“.

ქრონიკა

— **ინვალიდების სახლში № 3** გაიხსნა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის სკოლა ამავე სახლის ინვალიდებისათვის. სკოლაში მეცადინეობა შეუძლია ინვალიდების სხვა სკოლების მოწაფეებსაც. მეცადინეობა სწარმოებს დილის 10 საათიდან 12 საათამდე. სკოლაში მოწყობილია ბიბლიოთეკაც.

— **მუშათა და გლეხთა ინსპექციაში.** მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიის წევრი კაკაბაძე გაემგზავრა აჭარისტანში და აფხაზეთში საბჭოთა დაწესებულებების პირადი შემადგენლობის წმენდის [illegible]ასატარებლად. მასვე დაევალა ავტონომიურ რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების მუშაობის გაცნობა და მათთვის სათანადო ინსტრუქციების მიცემა.

— **საქართველოს ისტორია.** სახ. გამომცემლობა შეუდგა საქართველოს ისტორიის პირველი ნაწილის გამოცემას.

— **უცხო ენათა კურსები.** ქუთაისის აღმასკომის და განათლების განყოფილების დადგენილებით ამ დღეებში ქუთაისში გაიხსნება უცხო ენათა სამასწავლებლო ინსტიტუტი.

— **სამეურნეო ლიტერატურა.** სახ. გამომცემლობა ამჟამად იმუშავებს სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის ფართე გამომცემლობის გეგმას.

— **სახელმწიფო გამომცემლობის** სარედაქციო კოლეგიამ გააუქმა მთავლიტში საცენზურო გადასახადები.

— **განაპირა ქუჩების განათება.** ამა წლის პირველ ნახევარში ელექტრო-სადგურების სამმართველომ განაპირა უბნებში დადგა 216 ელექტრო-სანათი.

— **სახ. გამომცემლობას** განზრახვა აქვს გამოსცეს ივანე გომართელის შრომა: „ტვინი და სული“.

— **საექიმო ტეხნიკუმი.** ჯანსახკომმა გადასწყვიტა თბილისში გახსნას 3 საექიმო ტეხნიკუმი.

— **სულით ავადმყოფთა აღრიცხვა.** ახლო ხანში აღრიცხული იქნება თბილისში მყოფი სულით ავადმყოფნი.

— **ფიზკულტურა.** ლენინის სახელობის ტანთ-სავარჯიშო მოედანზე 25 ოქტ. გაიმართება ფეხბურთაობა.

— **ტრამვაის ვაგონების** მიმოსვლის დროს სექტემბერში ადგილი ჰქონდა სულ 7 უბედურ შემთხვევას.

— **ვაგონების შეკეთება.** სექტემბერში ტრამვაის სახელოსნომ გარდა, წვრილმანი შეკეთებისა, საფუძვლიანად შეაკეთა 38 ვაგონი.

— **სალიანდაგო ქუჩების შეკეთება.** სექტემბრის განმავლობაში მოკირწყლული იქნა სალიანდაგო ქუჩა 336,46 ოთხკუთხი საჟენი და შეკეთებულია ლიანდაგი 196 საჟ. ანძილზე.

შემთხვევები

— **დაჭრა.** 25 ოქტ. ღამით ელისაბედის ქ. № 59 ვინმე შავდიამ რევოლვერით დასჭრა რუხევი.

— **ქურდობა.** 21 ოქტ. ელისაბედის ქ. № 40 გაქურდეს არმენ ტერ-ბარსეგოვის ბინა, წაიღეს 250 მან. ნივთები.

— ამავე დღეს გაქურდეს თამარ მაისურაძის ბინა, წაღებულია 72 მან. ნივთები.

— **ჯიბიდან მოპარვა.** 20 ოქტ. ხაზინაში რიგში დგომის დროს მოქ. ლაზიშვილს ჯიბიდან ამოართვეს 1,200 მან.

— **ქურდი ქმარი.** 20 ოქტ. დღით კომუნალური ქ. № 56 გაქურდეს „სეიდ ხან-მაზედ“ კიზის ბინა, ეჭვით შეიპყრეს მისივე ქმარი.

— **შეიპყრეს** შალვა თავზაშვილი, რომელსაც ბრალდება გიორგი დეკანოსისძის ბინის გაქურდვა.

მეცნიერება და ტექნიკა

17 დღეში დედამიწის გარშემო.

შესდგა სპეციალური საერთაშორისო საზოგადოება, რომლის კაპიტალი უდრის 10.000.000 მანეთს. საზოგადოება მიზნათ ისახავს დედამიწის გარშემო საჰაერო მიმოსვლის მოწყობას. გამომუშავებული გეგმის თანახმად, მთელ გზას დედამიწის შემოსავლელად აეროპლანებით და დირიჟაბლებით დასჭირდება 17 დღე. მარშრუტი დაახლოვებით ასეთია: ლონდონი,—პარიზი,—სტამბოლი—აეროპლანებით. სტამბოლი—ავსტრალია—ცეპელინით, ავსტრალია—სანფრანცისკო (ამერიკა)—ცეპელინით. სანფრანცისკო—ნიუ-იორკი—ლონდონი—აეროპლანებით.

ყველაზე სწრაფმავალი ავტომობილი.

შრომა, რომელიც საჭიროა ჰაერის წინააღმდეგობის დასაძლევათ სისწრაფის ორჯერ გადიდების დროს იზრდება 8-ჯერ, სისწრაფის სამჯერ გადიდების დროს კი—27-ჯერ.

ქალაქში ავტომობილი საშუალოთ 20 ვერსს გადის საათში, ქალაქს გარეთ კი, რომ ავტომობილმა 290 ვერსი გაიაროს ამისათვის მუშაობა ჰაერის წინააღმდეგობის დასაძლევათ 3000-ჯერ იზრდება.

აი რატომ არის საჭირო სისწრაფეზე შეჯიბრებაში მონაწილე ავტომობილებისათვის სპეციალური კონსტრუქცია, რათა ჰაერის წინააღმდეგობის დასაძლევათ ნაკლები მუშაობა იხარჯებოდეს.

საავტომობილო და საავიაციო ტექნიკამ გადასჭრა ეს ამოცანა.

ამ რამდენიმე ხნის წინათ საფრანგეთში აშენეს ახალი ავტომობილი სპეციალურათ სისწრაფეზე შეჯიბრებებისათვის.

ამ ავტომობილს უწოდეს „[illegible]“, ის დაამზადეს ეგვიპტელ სპორტსმენის ჯელალედინისათვის.

ამ ავტომობილზე დადგმულია 400 ცხენის ძალიანი მოტორი. ავტომობილი იწონის 57 ფუთს და მისი დამზადება დაჯდა 300.000 ფრანკი დაახლოებით 30000 მანეთი. მის დასამზადებლათ სარგებლობდენ ინგლისიდან სპეციალურად მიღებულ ფოლადით

უდიდესი თეატრი.

ნიუ-იორკიდან მიღებული ცნობებით, იქ შეუდგნენ უდიდესი თეატრი—„კულტურის ნაციონალური ტაძრის“ აშენებას. ეს თეატრი დაიჭერს სივრცეს 130.000 კვ. ფუტს.

ამ უზარმაზარ შენობაში 37 სართული იქნება. შენობაში გარდა თეატრისა მოწყობილი იქნება რესტორანი, ბიბლიოთეკა, ტელეგრაფი და საექიმო პუნქტი

მოეწყობა 64 ლიფტი, რომელიც დაიტევს 60—60 კაცს.

შენობის აგება დაჯდება **50.000.000** მანეთი.

უდიდესი ხიდი.

უზარმაზარი ხიდი იქნება გაკეთებული ამერიკაში, ქ. სანფრანცისკოს ნავთსადგურში. კალიფორნიის შტატის საკანონმდებლო პალატამ ამ ხიდის აშენებაზე თანხმობა განაცხადა და სპეციალური თანხები გადასდო. შესდგა ხიდის საამშენებლო კომიტეტი, რომელმაც შეიმუშავა ხიდის გეგმა. მისი სიგრძე ერთ ვერს ნახევარზე მეტი იქნება. ვინაიდან მანძილი ხიდის ქვეშ ბოძებს შორის არ უნდა აღემატებოდეს 700 მეტრს, წყლის მიმდინარეობის შეზღუდვა კი კომიტეტმა არასასურველად სცნო, ამიტომ გადაწყდა ჩამოკიდებული ხიდის გაკეთება. ხიდის აშენება დაჯდება 50.000.000 მანეთი.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

„პიკის ქალი“

ჩაიკოვსკის ოპერა „პიკის ქალი“ რუსეთის დიდი ლირიკოსის ერთერთი საუკეთესო ნაწარმოებია. მუსიკა, რომელიც მდიდარი, ლამაზი და კეთილშობილია მელოდიებით და ღრმა შინაარსით ამ ოპერას ყველაზე უფრო საყვარელ და პოპულიარულ ოპერათ ხდის.

„პიკის ქალის“ პირველი დადგმა საინტერესო იყო კიდევ იმით, რომ მასში მონაწილეობას იღებდნენ მომღერალი ქალი ბოგოლეპოვა, რომელმაც უკვე დაიპყრო ჩვენი საზოგადოების სიმპატიები და თბილისისათვის უცნობი მომღერალი სტრუკოვ-ბარათოვი.

ამ უკანასკნელის არტისტიული სახე ჯერ არ გამორკვეულა. როგორც სჩანს, ის მეტად გამოცდილი სცენიური მოღვაწეა, მაგრამ მის ხმას აკლია პირველი სილაღე. ჯერ-ჯერობით ძნელია მსახიობის საბოლოოთ შეფასება.

მომღერალმა ქალმა ბოგოლეპოვამ ლიზას პარტიაშიც ისეთივე ნათელი შთაბეჭდილება დასტოვა, როგორც „აიდაში“ გამოსვლის დროს. შესრულების ძირითადი ნიშანია ლირიზმი, რაც სავსებით შეეფერება ოპერის გმირ-ქალის სახეს. დუეტი პოლინასთან და არია „ღამე“—ეს პარტიის მხატვრული ფურცლებია. მსახიობი მხატვრული ტემპერამენტით და გულწრფელობით გადმოგვცემს ყველა პათეტიურ ადგილებს. ნეთივე სიმაღლეზეა შესრულების სცენიური მხარეც.

კარგათ მღერის მოხუცებულ გრაფის ქალის პარტიას მომღერალი ტოვსტოლუჟსკაია. მესამე აქტის სცენაში (საწოლ ოთახში) სასურველია მეტი ლირიზმი და ნაკლები ხმოვანება.

მშვენიერი ხმა და კარგი სკოლა აქვს მომღერალ ჟურავლიოვს (თავადი ელეცკი); კარგათ იყო შესრულებული პირველი აქტის დუეტი და არია. ლამაზია პარტიის გარეგნული გამოხატულებაც.

თუ მომღერალი ალექსაშინი გარეგნული ნიშნებით არ მოგვაგონებს ეკატერინეს დროის გვარდიელს, ის თავისი მშვენიერი ხმით და სიმღერით გვავიწყებს სცენიურ დეფექტებს. კარგათ იყო შესრულებული პირველი არია კარტის სათამაშო ოთახში.

მეტათ ლამაზი ტემბრი აქვს მომღერალ ქალის ბაბკინას (პოლინა) ხმას, განსაკუთრებით საშუალო და ქვედა რეგისტრებში. ბაბკინა მუსიკალური მომღერალია.

ტიპიური „გუვერნანტკაა“ დობრჟანსკაია. ეს მსახიობი მეტათ სასარგებლო ძალაა საოპერო დასში.

საუცხოვოთ ხელმძღვანელობს ორკესტრს სტოლერმანი. ლამაზია მუსიკალური პერიოდები.

დადგმა ძველია და მეტათ საინტერესოც არის, განსაკუთრებით სცენა ყაზარმებში.

პ. ბ.

ქართული დრამის სეზონის გახსნა რუსთაველის თეატრში მოხდება შაბათს 25 ოქტომბერს. წარმოდგენილ იქნება „მათრახის პანაშვიდი“.

ახმეტელის გასტროლი ქუთაისში. ქუთაისში გაიწვიეს რეჟისორი ახმეტელი რამოდენიმე პიესის დასადგმელად.

მუშ

შტატის შემცირება უნდა ჩაატაროთ მიზანშეწონილად.

(რკინის გზ. პროფკავშირის და სამმართველოს საყურადღებოდ).

განზრახულია თვიურ მოსამსახურეებს შორის შტატების შემცირება, რომელსაც ზოგიერთი ადმინისტრატორები აუცილებლად ბოროტად გამოიყენებენ. ყველამ კარგად ვიცით, რომ ზოგიერთ მათგანს მაინც და მაინც არ უყვარს ის ამხანაგები, რომლებიც თავის პირდაპირ მოვალეობასთან ერთად ჩაბმული იყვნენ და არიან კულტურულ და პროფმუშაობაში.

აგრეთვე ისინი არ დაინდობენ არც ერთ მუშკორთაგანს, რომლებსაც არა ერთხელ გამოუმჟღავნებიათ მათი ბოროტი განზრახვები და მიუთითებიათ სხვადასხვა შეცდომებზე.

შტატის შემცირების დროს აუცილებლად უნდა მიიღოთ მხედველობაში გაერთიანებაც, რომელიც ადრე თუ გვიან აუცილებლად უნდა გავატაროთ ცხოვრებაში და, შემდეგ რომ არ დაგვჭირდეს ხალხის ძებნა, საჭიროა არ იყოს დათხოვნილი არც ერთი სახელმწიფო ენის მცოდნე უმიზეზოდ. მთავარ სახელოსნოში იყვნენ მიღებული დროებით მემანქანის და მონანქარიშის თანამდებობებზე სახელმწიფო ენის მცოდნე ექვსი ამხანაგი; მათ უთავდებათ დრო და ითხოვენ.

საჭიროა მათი დატოვება, თუ კი ეს შესაძლებელი იქნება. არ უნდა იყოს დათხოვნილი არც ერთი მუშკორთაგანი, რომლებიც მტკიცედ დგანან საბჭოთა კავშირის აღმშენებლობის ნიადაგზე და 'შიშის' ზარს სცემენ ყველა ბოროტ და ცუდ საქმეების გამზრახველებს საბჭოთა კავშირში.

აუცილებლად საჭიროა ადგილკომმა, კომიაჩეიკამ იდვას თავზე ადმინისტრაციისაგან მუშკორების დაცვა, და ყველა ზემოთჩამოთვლილი საქმეების სასურველათ გადაჭრა ჩვენი ხელისუფლების სასარგებლოდ.

რკინისგზა გაწმინდეთ შავრაზმელებისაგან და არა მუშკორებისაგან.

ვაგონკორი ჯარეიშვილი.

ფოთის ჭაობის ამომშრობ მუშებში.

(ჩვენი მუშკორისაგან).

11 ოქტომბერს მოხდა სრული კრება ფოთი-ქალადიდის რაიონის ამომშრობ მუშებისა. არჩეულ იქნა პრეზიდიუმი შემდეგის შემადგენლობით: ე. კიტეიშვილი, პ. ალანია, ე. ხოფერია და მდივნათ ე. კვირკველია.

გასარჩევი იყო ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები: 1) ხელფასის თავის დროზე მიუღებლობის შესახებ, 2) ქალონში მუშათა დუქნის გახსნის შესახებ და 3) დელეგატების არჩევა მე-5 სამაზრო ყრილობაზე აღმშენებელ მუშებისა.

მუშებში უკმაყოფილება იყო, რომ მათ თავის დროზე ვერ მიიღეს ხელფასი (აგერ თვეზე მეტია). კრებაზე ამხ. კიტეიშვილმა ფართედ გააცნო მუშებს, რომ ფულის მიუღებლობის მიზეზი ბანდიტური გამოსვლები იყო, როდესაც ჩვენ ადასული ვიყავით სამხედრო მდგომარეობაზე. მაგრამ გვაქვს სრული იმედი, რომ ხელფასი მომავალში თავის დროზე დაურიგდება მუშებს.

კრება ამ ახსნის შემდეგ გადავიდა მორიგ საკითხზე. ეს იყო ს. ქალონში მუშებისათვის თავისი დუქნის გახსნის შესახებ. მუშებმა ერთხმად აღიარეს, რომ ასეთი დუქანი აუცილებლობას წარმოადგენს და დაადგინეს მისი გახსნა. ეთხოვა სენაკის აღმშენებელთა კავშირის პ. ა. მიაქციოს ამ დუქანს მთავარი ყურადღება და კოოპერატივების საშვალებით მიაწოდოს მას მუშებისათვის აუცილებელი საქონელი, რომ ამით ისინი დახსნილ იქნან ჩარჩის კლანჭებისაგან.

ბოლოს აირჩიეს დელეგატებად მე-5 კონფერენციაზე: ე. კიტეიშვილი ქ. ძიძიგური, ი. გოგუა, პ. ალანია, ე. ხოფერია, დ. გვაძაპია, ე. კვირკველია და ლ. კიზირია.

ინფ. ბ. უჩანეიშვილი.

მოაგვარეთ ეს საქმე

(აღმასკომის საყურადღებოდ)

ერთი თვეა მას შემდეგ, რაც აღმასკომის დადგენილება იყო გამოქვეყნებული პრესაში, რომ დაკეტილი დუქნები შეიძლება გადაეცეს მუშებს სახ[illegible] მაგიერ.

ფრიად სასიამოვნოა აღმასკომის დადგენილება და საყურადღებოცაა, მაგრამ ამას ერთი უდიდესი ნაკლი აქვს. როდესაც მუშები მოდიან ბინის სათხოვნელად, ის სავსეა ვაჭრებით-დგანან ერთად რიგში და უხდებათ მთელი საათობით დგომა.

წარმოიდგინეთ, ზოგი მუშა დილიდან სდგას რიგში მთელი 5—6 საათი და ისევე ხელ-ცარიელი რჩება, ზოგი კი სამუშაოზედაც ველარ ბრუნდება იმიტომ, რომ მას უკვე დააგვიანდა.

ეს ასე რომ არ ხდებოდეს, აქ უნდა იქნეს ორი რიგი: ერთი მუშებისათვის და მეორე კი ვაჭრებისათვის. მუშამ, რომ დაგვიანოს, ის ჰკარგავს თავის ერთ დღის ნამუშევარს და წარმოებასაც აზარალებს. ვაჭრებისათვის კი სულ ერთია, ისინი რომ იქ იდგნენ ერთი კვირაც ერთ საათში აინაზღაურებენ თავის ზარალს.

ამას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

მუშკორი ელვა.

ხალხისა და საქმის სასარგებლოდ

(მუშკოოპის და „ზაკტპო“-ს საყურადღებოდ).

უკანასკნელ ხანებში მუშკოოპმა მოაწყო წვრილმანი ვაჭრობა პაპიროსების, ასანთებისა, თამბაქოსი და სხვ. ქუჩებში ახალგაზრდა ბიჭების საშუალებით, რითაც, რასაკვირველია იხსნა მუშების ფართო მასსა კერძო ვაჭრებისაგან. „ზაკტპო“-ც უნდა მიყვეს ამ მაგალითს. მასთან ძლიერ სასურველია, რომ როგორც მუშკოოპი, ისე „ზაკტპო“ ქუჩებში წვრილმანით ვაჭრობას მიანდობდნენ არა პირველად შეხვედრილ ახალგაზრდებსა და მოქალაქეებს, არამედ ამ საქმეს გადასცემდენ ხოლმე პენსიონერებს, ქვრივებს და ობლებს დამხმარე სალაროს უწყებიდან.

ყველასათვის ცხადია. რომ ჩვენი პენსიონერები ცოტა დახმარებას ღებულობენ. ხოლო თუ ამ ვაჭრობის საქმეს გადავცემთ ამათ, მაშინ მათი დახმარებაც უთუოდ აიწევა და ზედმეტი ფული, რომელსაც დაუჭერთ მოვაჭრე პენსიონერებს, შეიძლება გადავაქციოთ დანარჩენ პენსიონერებისა და ინვალიდების ფონდის გასაძლიერებლად.

ინფ. კან-თან.

მუშკოოპის დუქანი № 26.

(მუშკოოპის საყურადღებოდ)

მელიქოვის ქ. № 8-ში თვე ნახევარზე მეტია, რაც გახსნილია და ვაჭრობს მუშკოოპის დუქანი. სანამ ეს დუქანი გაიხსნებოდა, ამ კუთხეში მცხოვრები მუშა-მოსამსახურეების მდგომარეობა აუტანელი იყო. ახლო-მახლო ადგილებზე მუშკოოპის დუქანი აღარ მოიპოვებოდა, ამავე დროს ოჯახური მოთხოვნილებები ყოველ წუთიერია და ამიტომ ძალა-უნებურად ისინი უვარდებოდნენ ხელში უსირცხვილო და უნამუსო ჩარჩ-სპეკულიანტებს. გაიხსნა თუ არა ეს დუქანი, მათი უსინდისობას უმალვე ფრთა შეეკვეცა.

ეხლა საჭიროა აქ გაიხსნას „წითელი სასადილოც“, რათა უ[illegible] მიკიტნებიც ამ კუთხეში აილაგმოს.

მუშკორი ბარბაჯი.

გაგვინათეთ ქუჩა!

(ქალაქის აღმასკომის საყურადღებოდ).

ალექსანდროვის ქ. № 13 სახლში სცხოვრობს დამხმარე სალაროს ამ უბნის ექიმი. სახლის წინ ძლიერ ბნელა. სახლს არ აქვს შესავალ კარებთან ფანარი მისამართის წარწერით, რომ ავადმყოფის პატრონმა შესძლოს ექიმის მიგნება. დიდი შრომა სჭირდება ავადმყოფის პატრონს ექიმის ამ ბნელ სახლში მიგნებას ამ გარემოებას არც ექიმი აქცევს ყურადღებას (უფრო ნაკლები მომსვლელნი შეაწუხებენ ალბად) და არც სახლის პატრონი.

მილიციავ! ყური უგდე შენს საქმეს: გაანათებინე სახლის პატრონს შესავალი კარები და გააკეთებინე ფანარი სათანადო მისამართის წარწერით.

მუშკორი ათანასე განიძე.

სხვადასხვა

(ჩვენი მუშათა ცხოვრებიდან)

— **ახალი რაიადგილკომის არჩევა.** მეორე რაიონის კინო თეატრების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ აირჩია ახალი რაიადგილკომი, რომელშიაც შედიან სამივე კინოს დელეგატები.

— **წერა-კითხვის უცოდინართა აღრიცხვა.** მე-2 რაიონის კინო-თეატრების კულტ. კომისია შეუდგა უცოდინართა და მცირე მცოდნეთა აღრიცხვას, რომელთათვისაც არსებობს წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა.

წერილები პროვინციიდან

ხაშურის ავ-კარგი

მესამე წელია, რაც ხაშურში არსებობს სავაჭრო დღე—პარასკეობა და კვირაობა. ამ დღეებში აქ თავს იყრის მთელი ქართლის მოსახლეობა, ბაზარზე მოაქვთ საქონელი და პირნახული.

ამ ბაზრობებს დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ჩვენი ქალაქი ვერ არის შესაფერისად მოწყობილი. ქუჩები გაუკეთებელია. რკინისგზის შენობების გარდა კანალიზაცია არსად მოიპოვება. ფეხისადგილები იწმინდება შინაურის საშუალებით: ძველ ადგილს მიაყრიან და სხვას ახალ გვერდზე ამოთხრიან. უსუფთაობის თავიდან ასაცილებლად ხაშურში ასეთი წესია შემოღებული: აქ შუა ქალაქში ჩამოდის მდინარე სურამულა, ეს მდინარე სწმენდს და ასუფთავებს ხაშურს მხოლოდ მაშინ, როდესაც წვიმებია და მდინარე ადიდდება. დანარჩენ დროს ამომშრალ სურამულაში ყრიან ყოველნაირ სიბინძურეს. ამ უდიდეს უსუფთაობას დაემატა „იარმუკობა“, ბაზრობა, რომელიც შუა ქალაქშია მოთავსებული და სადაც უამრავი ხალხი და საქონელი იყრის თავს.

ბევრჯელ ტევა აღარ არის ხოლმე. ამ უამრავ ხალხის და საქონლის უსუფთაობა რჩება მოედანზე და ამომშრალ სურამულას კალაპოტზე. მოედანი იშვიათ შემთხვევაში იგვება ერთხელ ან ორჯელ წელიწადში. ფეხისადგილი ამ 24 დღიურის სივრცე მიწაზე გაშლილ ხალხს აქვთ მხოლოდ ერთი-ორი კაცისათვის. ქალები ვერ სარგებლობენ იმიტომ, რომ კარები არ აქვს. რაც შეეხება გასუფთავებას—მას არსებობიდან არ ღირსებია. ის გაიწმინდება ალბათ მაშინ, როდესაც მოქ. გ. ფილია მოისურვებს. ეს ვაჟბატონი ქალაქის ტეხნიკი ბრძანდება. მუშაობს ეს კაცი თავის ნებით, თავის ჭკუით, როგორც მას ესიამოვნება. მან თავის სახლის წინ შადრევანიც ამოიყვანა და იქ კი, სადაც უამრავი ხალხი იყრის თავს, უწყლოთ იღრჩობიან. ხალხი სარგებლობს კერძო ჭებით, მაგრამ ვაი იმ სარგებლობას, ათასნაირი ჭურჭლით ამოაქვთ წყალი. წარმოუდგენელია რანაირ ჭურჭლით: ჟანგიანი ვედრებით, მურიანი ქვაბებით.

როდის მიაქცევს ხაშურის კომუნალური მეურნეობა ჯეროვან ყურადღებას ამ არანორმალურ მდგომარეობას, როდის მოსთხოვს ის პასუხს იმ პირებს, რომელთა მოვალეობას შეადგენს ქალაქის მოწყობა-გასუფთავებაზე ზრუნვა?

კოშკელი.

პედაგოგიური ტეხნიკუმის გახსნა თელავში

18 ოქტომბერს თელავში გაიხსნა ორწლიანი პედაგოგიური ტეხნიკუმი. გახსნას დაესწრნენ და სიტყვები წარმოსთქვეს პარტკომის, აღმასკომის, განათლების ინსპექციის და პროფკავშირთა ბიუროს წარმომადგენლებმა.

თუ მივიღებთ მხედველობაში საზოგადოდ აღმოსავლეთ საქართველოს და კერძოთ კახეთის (თელავის მაზრა) ჩამორჩენას სწავლა-განათლების მხრივ, პატარა სოფლის სკოლის მომატებასაც კი მნიშვნელობა აქვს და მით უმეტეს პედაგოგიურ ტეხნიკუმის გახსნა საყურადღებო და აღსანიშნავია.

საბჭოთა ხელისუფლება როგორც ყველგან საქართველოში, ისე კახეთში ყოველ წელს უმატებს სოფლის სკოლებს. ეხლა აღარ არის ისეთი სოფელი თელავის მაზრაში, რომ სკოლა არ არსებობდეს, რაიონებში კი გახსნილია 7 და 9 წლიანი შრომის სკოლები.

ამ სკოლების ქსელის გაფართოებას წინ ელობება მეტად დიდი დაბრკოლება, რომლის აცილება არც ისეთი ადვილი საქმეა ჯერ-ჯერობით მაინც. ეს არის მომზადებულ მასწავლებელთა კადრის სიმცირე. მიუხედავად იმისა, რომ შარშან ზაფხულში მოეწყო მასწავლებელთა კურსები და წელსაც იყო გადასამზადებელ კურსები, მაინც წესიერი მომზადებული მასწავლებელი ძლიერ ცოტანი გვყავს.

ზოგიერთ სკოლებში როგორც თელავში, ისე სოფლად ეხლაც აკლიათ მასწავლებლები. გაკვეთილების სხვა მასწავლებელთა შორის განაწილება აბრკოლებს მეცადინეობის ნორმალურ მიმდინარეობას.

თელავში პედაგოგიურ ტეხნიკუმის დაარსებით ეს ნაკლი თანდათანობით თავიდან იქნება აცილებული, ვინაიდან ყოველ წელს ეს ტეხნიკუმი მოგვცემს მომზადებულ მასწავლებელთა საკმაო რიცხვს, რომელიც საკმარისი იქნება ჩვენი მაზრისთვის.

შ. კორი.

ალაგმეთ მიკიტნები, გახსენით კოოპერატივი

სოფ. სამადლო (თიანეთის მაზრა)

სოფ. სამადლო თბილისზე დაშორებულია 24 ვერსით. სამადლო ერთერთ დასასვენებელ ადგილს წარმოადგენს თბილის-მანგლისის შარა გზაზე. აქ არის გახსნილი სამი ღვინის და სხვადასხვა მაგარი სასმელების კერძო სავაჭროები, კოოპერატივი კი არ არსებობს. ვაჭრებს წარმოუდგენელი ფასები აქვთ დაწესებული საჭმელ-სასმელზედ. მაგალითად ასურეთის უბრალო მონაყილი ღვინო —80 კაპ. ბოთლი, კვერცხი 50 კაპ., პური ადგილობრივი შავი გამომცხვარი 12 კაპ. გირვ. და სხვა. ამ ვაჟბატონებს მგზავრი თუ ჩაუვარდათ ხელში ზემო აღნიშნულ ფასებზე ორმაგად ახდევინებენ. აუცილებელი საჭიროა აქ გაიხსნას კოოპერატივის განყოფილება, რომ შეიძლებოდეს ამ მადა-გახსნილ ვაჭრების ალაგმვა. აღსანიშნავია ისიც, რომ ზემოაღნიშნულ მოვაჭრეებს ყველას მიწის ნორმები აქვთ მიზომილი. როგორ მოხდა, წარმოუდგენელია. მიწას ამუშავებინებენ ადგილობრივ გლეხობას ქირაზე. სამადლოში არ არსებობს არავითარი დაწესებულება. აქ ხელისუფლებას წარმოადგენს ერთი მილიციონერი, რომელიც ყოველ თვეში იცვლება სადარაჯოდან. სამადლო არ უნდა დარჩეს ასე უყურადღებოთ.

ი. ლ—ტი.

ჩვენი ძალებით ვაშენებთ სკოლის შენობას

ახალ-სოფლის რაიონი

(სამეგრელო)

ყველასათვის ნათელია, თუ რა ყურადღებას აქცევს საბჭოთა ხელისუფლება სკოლების და სხვა კულტურულ დაწესებულებების მოწყობას, მაგრამ ჯერ კიდევ მაინც ბევრია ამ მხრივ გასაკეთებელი. მაგალითისთვის ავიღოთ ახალ-სოფლის რაიონი. მენშევიკების დროიდანვე აქ არსებობს ოთხ-წლიანი სკოლა, რომელიც ამჟამად მოთავსებულია მოქ. ალანიას და გვიჩიას სახლებში. პირველ მათგანს ქირას აძლევს ქალ. აღმასკომი და მეორეს კი—ადგილობრივი მცხოვრებნი. საკუთარი შენობის და სასწავლო ნივთების უქონლობა ძლიერ უშლის ხელს სწავლის მიმდინარეობას. ამა 1923|24 სამ. წელში ამ სკოლაში გამგედ განათლების ინსპექციამ დანიშნა ამხ. შალვა კომახიძე, რომელმაც ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ამ მოვლენას და მიზნათ დაისახა სკოლის უზრუნველყოფა სასწავლო ნივთებით. სკოლასთან დაარსებულ იქნა სკოლის დამხმარე კომისია და ამ კომისიის საშუალებით შეგროვილ იქნა შემოწირულება: ფოთის ხავთ-სადგურის მტვირთველ მუშებისაგან 79 მანეთი და კერძო პირებისაგან 33 მანეთი, სულ 112 მ., რომლითაც შეძენილი იქნა სკოლისთვის უსაჭიროესი ნივთები. კომისიამ აგრეთვე ყურადღება მიაქცია შენობის აგების საკითხს და საჭიროდ სცნო დღის წესრიგში ამ საკითხის დასმა. ამ მიზნით კომისიამ მოიწვია ამ რაიონის მოსახლეობის საზოგადო კრება, რომელსაც დაესწრო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. მეიშვილი. გამოტანილ იქნა დადგენილება შენობის აშენების შესახებ და კრების მიერ არჩეულ იქნა საამშენებლო კომიტეტი შემდეგი პირებისაგან: ამხ. საშა ფრუიძე, გ. ბოკუჩავა, შალვა კომახიძე, იაკობ ფაჩულია და ილარიონ უჩანეიშვილი. კანდიდ. სითხავთასი.

ს. ფრუიძე.

პროვინციის ქრონიკა

— **ციმბირის ჭირი.** კობულეთში თავი იჩინა ციმბირის ჭირმა. საბეითლო რაზმი სასწრაფოთ შეუდგა საქონლის აცრას.

— **მეფუტკრეობა.** სიღნაღის აღმასკომმა ქიზიყში მეფუტკრეობის ასაღორძინებლად, აღძრა შუამდგომლობა სასოფლო-სამეურნეო ბანკის წინაშე 6,000 მან. გრძელ ვადიან სესხათ მიცემის შესახებ.

— **ტელეფონის ქსელი.** სიღნაღის სამაზრო აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა ი|კ. ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის წინაშე, სიღნაღის მაზრაში არსებულ ტელეფონის ქსელების მის განკარგულებაში გადასაცემათ.

— **ხორბალი სესხათ.** სოფ. ქვემო-მაჩხაანის გლეხებისათვის სესხის სახით მისაცემათ სიღნაღის აღმასკომმა გადასდო ათასი ფუთი ხორბალი.

— **ოზურგეთის** აღმასკომმა გადასწყვიტა თეატრალურ ხელოვნების საქმიანობაში ჩააბას ყველა ადგილობრივი დაწესებულებანი.

— **სკოლის შეკეთება.** სოფ. საქობოში (სიღ. მაზრა) სკოლის შესაკეთებლად სიღნაღის აღმასკომმა გადასდო 300 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთელთა საზ

პირველობაზე ჩქარა დამთავ

დარების გამო შეჯიბრებამ უკანასკნელ

ნებში გაცხოველებული ხასიათი მიიღო. დღეში რამოდენიმე კომანდა ხვდება ერთმანეთს „ბრძოლის“ ველზე.

კვირას, 19 ოქტომბერს, დღის 3 ნახ. საათზე, ამხ. ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა შეჯიბრება, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს მე-21 ქვ. სკოლის და რკინისგზის მთავარ სახელოსნოების ფეხბურთელებმა.

ჩვენ უკვე შემთხვევა გვქონდა აღგვენიშნა, რომ მე-21 სკოლის ფეხბურთელთა კომანდა ერთერთ ძლიერ კომანდათ ითვლება თბილისში.

პერსონალურათ მასში არიან კარგი მოთამაშეები, მაგრამ საერთოდ, ის მაინც ვერ წარმოადგენს მთლიან შედუღებულ ერთეულს, მას აკლია ტრენიროვკა და ერთმანეთთან შეთვისება. ამით აიხსნება, სხვათა

მოადგენს თავ

პერსონალურათაც და

ხომ იქ თითქმის არ ჩანს.

რათ დამცველთა და ცენტრის

ბა, სათანადო სიმაღლეზე ვერ არიან

ჯვენა მხარის მოთამაშენიც.

შეჯიბრება ხანტათ მიდიოდა. შეტევაზე უმთავრესათ მე-21 სკოლის ფეხბურთელები გადადიოდნენ. თამაში არ იყო მდიდარი საინტერესო მომენტებით. ორივე კომანდების საყურადღებოთ უნდა ითქვას, რომ არც ერთ მათგანს არ ეხერხება ბურთის ერთმანეთისათვის გადაცემა, რასაც სიცოცხლე და სილამაზე შეაქვს თამაშში. შეჯიბრება გათავდა მე-21 სკოლის ფეხბურთელთა გამარჯვებით—3:1.

ბ.

ბიბლიოგრაფია

გ. მუშიშვილი.

მსოფლიო ომი.

სახელმწიფო გამომცემლობა 1924 წ.

ამ დღეებში გამოვიდა გ. მუშიშვილის წიგნი „მსოფლიო ომი“, რომელიც დაწერილი იყო სამი თვის წინათ წარსული საერთაშორისო ომის ათი წლის თავზე, როდესაც კომინტერნის დადგენილებით ყველა ქვეყნებში ჩატარებული იქნა ომის საწინააღმდეგო კვირეული პროლეტარიატის გრანდიოზული დემონსტრაციებით და მიტინგებით.

სხვადასხვა დროს ქართულ ჟურნალ გაზეთებში მოთავსებული წერილები ომის შესახებ საკმაო არ არის ახალი ქართველი მკითხველის, ქართველი მუშის და გლეხის გათვითცნობიერებისათვის, მთლიანი და ნათელი სურათის შესადგენათ წარსულ საერთაშორისო ხოცვა-ჟლეტის გამომწვევ მიზეზების და საშინელი შედეგების შესახებ. ამიტომ სრულებით სამართლიანია ამხ. გ. ქ. შენიშვნა გ. მუშიშვილის შრომის წინასიტყვაობაში, რომ „მეტად საჭირო იყო ცალკე შრომის გამოცემა, სადაც გაშუქებული იქნებოდა ომთან დაკავშირებული საკითხები“.

წიგნი შეიცავს 118 გვერდს, რომელიც დაყოფილია 6 თავათ: 1. ომი ომამდე, 2. ომი და მეორე ინტერნაციონალი, 3. ომის შედეგები, 4. ომი ომის შემდეგ, 5. ომი ომის წინააღმდეგ და 6. ისტორიული დოკუმენტები, სადაც მოყვანილია „ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია“ რ.

მუდმივი იმპერიალიზმი კაპიტალიზმის პრაქტიკული პოლიტიკაა“. კაპიტალისტური ქვეყნების შინაური ბაზარი ველარ იტევს დამზადებულ საქონლის მთელ რაოდენობას, საჭირო ხდება გარეშე ბაზრის დაპყრობა და, მაშასადამე,—სისხლისმღვრელ შეტაკებებისათვის იმპერიალისტური ომისათვის მზადყოფნა. ამხ. მუშიშვილი შედარებითი ციფრობრივი ცხრილებით ნათელყოფს წარსული საერთაშორისო ომის გამომწვევ მიზეზებს და ამასთანავე ერთად ევროპის სახელმწიფოების დახქარებულ მზადებას საერთაშორისო ხოცვა-ჟლეტისათვის ჯარის რაოდენობის და სამხედრო ხარჯების საზღაპრო გადიდებით.

შრომის მეორე თავში ამხ. მუშიშვილი ახასიათებს მეორე ინტერნაციონალის პოზიციას ომის საკითხში სხვადასხვა დროს, სხვადასხვა კონგრესებზე და საერთაშორისო სოციალ-დემოკრატეის აქტიურ მონაწილეობას ათეულ მილიონების მუშების და გლეხების ხოცვა-ჟლეტაში. ავტორი უმთავრესად გერმანიის სოციალ-დემოკრატიის „კაიზერისტულ იმპერიალიზმთან“ კავშირზე ჩერდება და სხვა ქვეყნების სოციალ-შეთანხმებელთა სამარცხვინო მოქმედება გაუშუქებელი რჩება, ალბათ უადგილობის გამო.

რიობამ

ულ, დაქ-

დაკარგულთა

ის გამოანგარი-

30 მილიონს, ზოგიერ-

იდევ მეტს“, განადგურდა

ოხეობაც, გაიზარდა ევროპის სახელმწიფოების დავალიანება და ამნაირად წინსვლის მაგივრად კაცობრიობა გაექანა უკან, უფსკრულისკენ, რომელშიც ის მაგრათ ჩაფსკვნილ-ჩაჯაჭვულია ცნობილი ვერსალის ზავით. ამ ზავის ნამდვილ შინაარს ავტორი ახასიათებს თავის შრომის მეოთხე თავში. მეხუთე თავში „ომი ომის წინააღმდეგ“ ავტორი ააშკარავებს პაციფისტების უტოპისტობას და „ერთა ლიგის“ ნამდვილ ბუნებას. ომს მოსპობს მხოლოდ მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვება, რომლისთვისაც თავის მხრივ ნიადაგს ამზადებს ახალი მოსალოდნელი ომი, იგი დააბოლოებს „კაპიტალიზმის განადგურების საქმეს მთელ მსოფლიოში“, როგორც ამხ. ვარგა სწერს.

წიგნის დასასრულ მოყვანილია, როგორც ზევით აღვნიშნე ორი მეტად საინტერესო დოკუმენტი.

წიგნის სიპატარავით აიხსნება ალბათ ის ფაქტი, რომ ზოგიერთი საკითხები მეტად მოკლეთ არის განხილული; მიუხედავათ ამისა წიგნს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია იმ მკითხველისთვის, ვისაც საშუალება არ აქვს გაეცნოს უცხო ენებზე სქელტომიან წიგნებს ხსენებულ საკითხის შესახებ. მეტად საჭიროა მისი ფართო გავრცელება მშრომელთა წრეებში.

წიგნი სუფთად არის გამოცემული და ღირს ათი შაური.

ი. ბ.

მთავრობის მოქმედებანი, და განკარგულებანი

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

1924 წელს სექტემბრის 22.

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ეროვნულ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალებისა და პროკურატურის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოთ შემოღების შესახებ

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოთ შემოღებულ იქნეს ქვემოთ მოყვანილი დებულება კავკასიის წითელდროშიანი არმიის ეროვნულ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალებისა და პროკურატურის შესახებ.

2. ეროვნულ დივიზიათა სამხედრო სასამართლოებისა და პროკურატურის რეორგანიზაცია ამა დებულების საფუძველზე დასრულდეს ამა 1924 წლის ოქტომბრის 1-სათვის.

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ს. ამბარცუმიანი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

დებულება

კავკასიის წითელდროშიანი არმიის ეროვნულ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალებისა და პროკურატურის შესახებ

1. ყველა ეროვნულ დივიზიაში მოეწყობა სამხედრო ტრიბუნალები და პროკურატურა იმ შტატებისა და დებულებების მიხედვით, რაც მიღებულია ნომრიანი დივიზიებისათვის.

2. საერთო ხელმძღვანელობა, მეთვალყურეობა და პასუხისმგებლობა ეროვნულ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალების და პროკურატურის მდგომარეობისა და მუშაობისათვის დაეკისრება სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარეს და კავკასიის წითელდროშიანი არმიის პროკურორს—კუთვნილებისამებრ.

3. სამართლის წარმოება, სასამართლოში ლაპარაკი და მიწერ-მოწერა ეროვნულ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალებში და პროკურატურაში იქნება იმ ენებზე, რაც გათვალისწინებულია ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკისა და სათანადო რესპუბლიკების კანონმდებლობით ამ საგანზე დამყარებულ წესებში; ხოლო მატერიალური და საპროცესო კოდექსების ნორმებად შეფარდებულ უნდა იქნეს ის ნორმები, რაც მოქმედობს თვითეული რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

4. ნაციონალურ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალებისა და პროკურატურის პასუხისმგებელ მომუშავეთა პირადი შედგენილობა დაინიშნება რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისარიატების შეთანხმებით კავკასიის წითელდროშიანი არმიის სამხ ტრიბუნალებთან და პროკურატურასთან; ამასთანავე თავმჯდომარენი და პროკურორები დამტკიცებულ იქნებიან კავშირის რევოლიუციონურ-სამხედრო საბჭოს ბრძანებით, ხოლო კოლეგიის წევრები—კავკასიის წითელდროშიანი არმიის რევოლიუციონურ-სამხედრო საბჭოს ბრძანებით.

5. საკასაციო ინსტანციის ფუნქციებს ნაციონალურ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალების მიმართ განახორციელებს სათანადო რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო ყველა სხვა უფლებითურთ, რაც შედის აღნიშნულ უზენაესი სასამართლოს გამგებლობის ფარგლებში.

6. რესპუბლიკათა იუსტიციის სახალხო კომისარიატებს და პროკურორებს უფლება აქვთ ზედამხედველობის წესით გამოითხოვონ ესა თუ ის საქმე, რაც სათანადო სამხედრო ტრიბუნალის წარმოებაში იქნება და აგრეთვე განასაჩივრონ როგორც აღნიშნული ტრიბუნალის განაჩენი და გადაწყვეტილება, ისე პროკურატურის დადგენილება.

7. რესპუბლიკათა იუსტიციის სახალხო კომისარიატებს და პროკურორებს უფლება აქვთ—კავკასიის წითელდროშიანი არმიის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარესთან ან პროკურორთან შეთანხმებით—მოახდინონ რევიზია ეროვნულ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალებისა და პროკურატურისა.

8 ეროვნულ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალები და პროკურატურა თავიანთი მუშაობის ანგარიშს წარუდგენენ—სათანადო ფორმით—კავკასიის წითელდროშიანი არმიის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარეს და პროკურორს; რესპუბლიკანურ იუსტიციის სახალხო კომისარიატს უფლება აქვს მოითხოვოს ანგარიშგება სასამართლო და საგამომძიებლო საქმეთა გამო მის მიერ დაწესებული ფორმით როგორც პერიოდულად, ისე ცალკე მოთხოვნისამებრ.

9. იმ ეროვნულ დივიზიაში, სადაც უკვე არის სამხედრო ტრიბუნალი, უკანასკნელი გადაკეთებულ უნდა იქნეს ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული წესის თანახმად.

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ს. ამბარცუმიანი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. შავეროვი.

პარტიული და საბჭოთა ქრონიკა

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის ლენინის რაიკომი იტყობინება, რომ პარ ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, პლეხანოვის სახელობის თეატრში შესდგება რა პარტიული კონფერენცია, დღის წესრიგი:

1. საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მოხსენება. 2. რაიკომის ანგარიში, კომის არჩევნები. 4. საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე გასაგზავნ დელეგატ ჩევა.

ყველა დელეგატების დასწრება რაიონულ პარტკონფერენციაზე სავალდებ

— შაბათს, 25 ოქტომბერს ცენტრალურ პარტ. კლუბში უჩვენებენ კინ

„მამის მკვლელი“

შესვლა უფასოა პარტიულ ამხანაგების ოჯახებისათვის. დასაწყისი 7 ნახ.

— თბილისის კომიტეტის სააგ. საპრ. განყოფილება იუწყება: პარასკევის პარტიული დღისათვის გამოვიდა წიგნაკი **„საბინაო კრიზისი თბილის მასთან ბრძოლა“**. დაბეჭდილია ქართულათ და რუსულათ. იყიდება სახ ზიაში (რუსთაველისა და კრუზენშტერნის კუთხე.) ფასი 10 კაპ.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი და ს. ა. ლ. კ. კ. კომიტეტი პირველ რაიონში პოლიტიკური ცოდნის გასინჯვის ჩასატარებლათ ზაციის წესით იწვევს შემდეგ ამხანაგებს. ცნობების მიღება პოლიტიკური ცოდნ ჯვის დღისა და საათის შესახებ შეიძლება ტელეფონით № 13—12 ამხ. ქო თან.

კეკელია, გელიუჯინსკი, გეურქოვი, მდივანი, გვაზავა, გაბარაშვილი, სა ბაშია, ვ. მეთონიძე აბაზაძე, ანანია, (ა | კ კომ. უნივერ.), კოვინევი, მახარაძე (ა | უნივ.), შახუნა (ა | კ. კომ. უნ.), გაუსკი (ა | კ კომ. უნ.), პატარაია, კუჩეროვი კ. კ. ა | კ საკონტ. კომ.)

პოლიტიკური ცოდნის გასინჯვას მეორე რაიონში აწარმოებენ შემდეგი ამ ცნობების მიღება გასინჯვის დღისა და საათის შესახებ შეიძლება ტელეფონით ამხ. ბირიუკოვთან:

კარჩაული (ა | კ კომ. უნივ.), მელაძე (ა | კ კომ. უნ.), მანუკიანი (ა | კ რ. აკოპოვი, ძიგრაშვილი, ტატულოვი, ლეკიშვილი., ამატუნი, პიტერსკი, გოგ მაჭავარიანი, მისკინი, კ. მეთონიძე, სააკიანი (ა | კ კომ. უნ.), ისაი რახმანი, (რ. ა. ლ. კ. კ. ა | კ. საკონტ. კომ.), ბელენკი, სოკოლოვსკი. ი. ლეკიშვილი (კ. ცენტ. კომ.), ს. მელაძე.

ს. კ. პ. ტ. კ. მდივანი—რუბენ

ს. ა. ლ. კ. კ. ტ. კ. მდივანი—მეთონიძ

პროფესიული

— 26 ოქტომბერს საღამოს 5 საათზე განათლების მუშაკთა სახლში, კ ქ. № 3, დანიშნულია **ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის წევრთა კრება.**

დღის წესრიგი: 1. ბეჭდვითი სიტყვის სექციაში ახლად მიღებულ წევრ აპრილიდან) დამტკიცება და სექციიდან იმ პირთა გამორიცხვა, რომელთაც 3 მავლობაში არ შემოუტანიათ საწევრო გადასახადი. 2. ანგარიში ბეჭდვითი სი შაკთა ადგილკომის მოქმედების შესახებ. 3. სარევიზიო კომისიის ანგარიში. 4. საწევრო გადასახადის 1 პროც.-ით დაკლების შესახებ. 5. მოხსენება სექციასთან თიერთო დახმარების კასის მოწყობის შესახებ. 6. მოხსენება ლენინგრადში მომხ დიდობისაგან დაზარალებულ პროლეტარიატის დახმარების შესახებ. 7. ად კულტკომისიის, სარევიზიო კომისიის და შრომის დაცვის კომისიის წევრთა არ 8. მიმდინარე საქმეები.

თუ პირველი კრება არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის გამოუცხადებლობ მეორე კრება დაინიშნება ამავე დღეს საღამოს 6 საათზე და ჩაითვლება კანონიერ დენი წევრიც არ უნდა გამოცხადდეს.

ადგილკომი.

ამავე დღეს საღ. 4 საათ. იქვე დანიშნულია კომფრაქციის სხდომა. დასწრ რების და კანდიდატების სავალდებულოა.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ანნა, შვილი გარდაცვალებულის ოთარი, ძმები ალექსანდრე, ამბაკო და და მართა, რძლები: ელპიდა და პელაგია, ძმის წულები: ქეთევანი, დათიკო, დუდანა, თინა, თამარი და ვლადიმერი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სოფ. ბახვში საკუთარ სახლში შაბათს, 25 ოქტომბერს 2 საათზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ჩვენთვის დაუვიწყარი

ფილიპე ბუჩუას ძე

მგელაძის

მოსაგონებლად 1—1

დამწუხრებული ცოლი პაშა, ცოლის და ელენე, ქვისლი დავით შენგელია შვილებით: ნინო, ქეთო, ვახტანგი, სანდრო და თამარა, სიმამრი იოსებ ტყაბლაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს ძვირფასი

პორფირე გეგიშიძის

უდროოთ დაკარგვას. ტირილის დღეთ დანიშნულია შაბათი 25 ოქტომბერი ნაშუადღევის 3 საათი ქ. სამტრედია საკუთარი სახლი.

№ 2531 1—1.

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ბიქტორ ბეგლარის ძე ანჯაფარიძე და დედა დომინიკა ივანეს ასული ქეიშვილისა აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 20 ოქტომბერს გარდაიცვალა

არდალიონა ივანეს ასული

ანჯაფარიძისა

რომლის გამოსვენება დანიშნულია კვირას 26 ოქტომბერს დღის 3 ს. ქ. ქუთაისში, პუშკინის ქ. საკუთარი სახლ-დან. № 2493 2—2

ღრმათ დამწუხრებულნი ნინო დავითის ასული ფალავასი და ოთიკო ფალავა აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 20 ოქტომბერს გარდაიცვალა პირველის საყვარელი რძალი და მეორესი გამზრდელი, ძვირფასი ბიცოლა

არდალიონა ანჯაფარიძისა

გამოსვენება 26 ოქტომბერს დღით კვირას ქალ. ქუთაისში. პუშკინის ქ. საკ. სახლიდან. № 2493 2—2

---

1 ნოემბრიდან დაიწყება მეცადინეობა სახალხო განათლების კომისარიატის პრ. ტეხნ. გან. მთავ. მმარ. გამგ-ში არსებულ

პ. ზუმბაძის და ზ. ინწკირველის

საბუხჰალტრო კურსებზე

კეცხოველის ქ. № 12 (ყოფილი ქალ. 1-ლი გიმნაზ. ლორის-მელიქოვის ქ.)

მეცადინეობა იწარმოებს ყოველ დღე საღამოს 5—8 საათამდე სრულიად ახალი მეთოდით საუკეთესო თეორეტიკოს და პრაქტიკოს ბუხჰალტრების ხელმძღვანელობით.

მსმენელნი შეისწავლიან ქართულ ენაზე ბუხჰალტერიის საფუძველს (მარტივ, ორმაგ ანუ იტალიანურ და ამერიკულ სისტემას) და სპეციალურ დარგებიდან: საბანკო, საფაბრიკო-საქარხნო (სამაზრო აღმასკომებში ანგარიშების წარმოება), სავაჭრო, დაზღვევის კასების, სააქციო საზოგადოების, სამომხმარებლო-საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ბუხჰალტერიას, კომერციულ არითმეტიკას, პოლიტიკურ ეკონომიას, სავაჭრო უფლებას, საბჭოთა ადმინისტრაციას და სავაჭრო კორესპონდენციას (მიმოწერას).

მეცადინეობის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საქმის პრაქტიკულად შესწავლას.

ჩაწერა, პროგრამის გაცნობა და დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე წიგნის მაღაზია „განათლება“-ში, ლენინის (ყოფ. ოლღის) ქ. № 6 ს. თავართქილაძესთან. ნის. 57 9—3.

საქ. მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სათბობ მასალათა განყოფილება

(პუშკინის ქ. № 3, ტელ. 12—11 და 12—76)

მიაწოდებს შენობებს ცენტრალურ გათბობით, სადაც არსებობს წყლით ან ორთქლით გათბობა და აგრეთვე ჩვეულებრივ ფეჩებისათვის

= ტყვიბულის ქვანახშირი =

ფრანკო სად. თბილისი შემდეგ ფასებში:

	საზ. დაწესებულებ.	კერძო პირთათვის
ქვანახშირი	26 კაპ.	29 კაპ.
შერეული ნახშირი (ნარევი 20 პროც.-დე)	24 კაპ.	27 კაპ.

ნახშირი მაღალი ღირსებისაა, გოგირდი ცოტა ურევია. **შენობების გათბობა ტყვიბულის ნახშირით უფრო ხელსაყრელია, ვიდრე შეშით და ანტრაციტით**

ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება სათბობ მასალათა განყოფილებაში დღის 9—3 საათამდე

ნის. 58—2—2

დამწუხრებული დედა ელისაბედ ანტონის ასული, მეუღლე ლიზა ნიკოლოზის ასული, შვილები კუკური და თინიკო და ძმა ივანე გუჯმახანის ძე ასათიანები; სიძე სიმონ ქაიხოსროს ძე და და მაკრინე ქოჩიბაიები და სიდედრი ფოტინე სოფრომის ასული ბასილაძისა, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელი

გიორგი გუჯმახანის ძის

ასათიანის

უეცრად გარდაცვალებას. გამოსვენება დანიშნულია 25 ოქტომბერს, შაბათს, შუადღის 2 საათზე რკინის გზის საავადმყოფოდან. დაკრძალვა მოხდება ნიკოლოზის სასაფლაოზე. 1—1

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 24 ოქტომბერს

ფაუსტი

55. ნ. 3—3.

ამ ჟამათ ქალაქ თბილისში მცხოვრებლებს სოფელ დიდიჯიხაიშის იანეთის, გუბის, კუხის და პატარაჯიხაიშის მცხოვრებთა

საყურადღებოთ

საინიციატივო კომიტეტი ზემო დასახელებულ საზოგადოებათა ამით გაცნობებთ,

რომ ორშაბათს 27 ოქტომბერს

ორჯონიკიძის სახელობის კლუბში (ყოფილი მუშტაიდი) საღამოს 6 საათზე

შესდგება საზოგადო კრება

ქვემოთ ჩამოთვლილ სოფლების მკვიდრთ სთხოვენ დაესწრონ: 1. სოფელ დიდი-ჯიხაიშის, 2. იანეთის, 3. გუბის 4. კუხის და 5. პატარა-ჯიხაიშის:

დღის წესრიგი:

ზემოჩამოთვლილ სოფლებთა საინიციატივო კომიტეტის მოხსენება—თანამემამულეთა კომიტეტის არჩევნები და მიმდინარე საკითხები

3—1 ნის. № 69.

გაფრთხილება!

ა. წ. 25 ოქტომბრისთვის

დანიშნული საჯარო ვაჭრობა

ზაჰესის განათხარის დატინობებზე 16—24 პალოზე

უქმდება კონდიციაში განზრახულ ცვლილებათა შეტანის გამო

შეჯიბრების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული

1—1 ზაჰესის სამუშაოთა უფროსი ინჟ. ბიბინაძე

ქალ. თბილისის მე-3—4 რაიონების სასამართლო აღმასრულებელი ა. ა. გეგეჭკორი ამით აცხადებს, რომ ის 27 ოქტომბერს 1924 წ. დღის 12 საათზე სახლში № 80, 19 თებერვლის ქ. (ბახჩიევის ქარვასლაში) საჯარო ვაჭრობით გაყიდის გეურქ ბახჩიევის და ალექსანდრე კოპაჩეიშვილის მოძრავ ქონებას: ბოჭკებს, ათწილად სასწორს, ჯაგარს, ლორის ქონს და ხის ავეჯს, შეფასებულს 969 მანეთად თედო ბაბუტაშვილის და სხვ. ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მე-10 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 24 ნოემბერს 1924 წ. თარიღით №№ 1285, 1286, 1287 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლებისა.

1—1 2514 სასამართლოს აღმასრულებელი ა. გეგეჭკორი

საქართველოს სახელმწ. ვაჭრ. სააქციო ამხანაგობა

აცხადებს, რომ შაბათს, ა. წ. 25 ოქტომბერს, დილის 11 საათზე ცენტრო-საწყობში (ელისაბედის ქ. № 133)

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

რომლითაც გაიყიდება ცხენები და ეტლები.

ნახვა შეიძლება საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე. 1—1 ნ. 61

სიღნაღის რაიაღმასკომის მმართ განყოფილებაში ს. კარდანახის მცხოვრებლებმა თებრო ლუკას ასულმა, სანდრო, ნიკო და მიშო ასლანის ძე ვახნაძეებმა 11 ოქტომბერს 1924 წ. განაცხადეს, რომ ისინი თავიანთ გვარს **ვახნაძეს სცვლიან ლევაშვილზე** № 2408 1—1

გაფრთხილება წარმოკავშირისაგან

გავრცელებულია ხმა, რომ წარმოკავშირში არის თავისუფალი ადგილები. ზოგიერთი პასუხისმგებელი ამხანაგები გზავნიან კანდიდატებს როგორც გამგეობის წევრებთან, ისე განყოფილების გამგეებთან, რომ- ესა თუ ის პირი ჩარიცხული იყოს წარმოკავშირის თავისუფალ ადგილებზე. საორგანიზაციო განყ. სთხოვს ამხანაგებს ნურავის გამოგზავნიან, ვინაიდან ამჟამად წარმოკავშირში **არ არის** თავისუფალი **ადგილები**

ნ. 73 1—1. საორგანიზაციო განყ. გამგე ვლ. ცაგარელი

აზერბაიჯანის თევზის სამრეწველოების სამმართველო

(АЗРЫБУПРАВЛЕНИЕ)

გაუწია რა ანგარიში მცხოვრებთა მოთხოვნილებას

პუშკინის ქუჩაზე გახსნა

თევზის წვრიმალათ გასაყიდი მაღაზიები და საქართველოში წარმომადგენლობის მთავარი კანტორა თევზისა და თევზის პროდუქტების ბითუმათ და წვრიმალათ გასაყიდათ **იაფ ფასებში**

სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს თევზი დაეთმობა განსაკუთრებით შეღავათიან პირობებში

ცნობებისათვის უნდა მიმართონ მთავარ კანტორაში—პუშკინის ქ. № 2, ყოფ. თამამშევის ქარვასლა.

ნ. 76 2—1

საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირი

ცეკავშირი

თანახმათ ხელშეკრულებისა, რომელიც დადებულია ს. მ. უ. ს. ჩრდილოეთ-დასავლეთის საოლქო სამრეწველო ბიურო „სევტორგ“-თან.

ცეკავშირს საქართველოს და სომხეთის ფარგლებში **მონოპოლიური უფლება აქვს**

ფაბრიკა „სვეტოჩ“-ის მიერ (ყოფ. ოტტო კირხნერ) დამზადებულ ქაღალდის წიგნების და სხვა

საკანცელიარიო ნივთების გასაღებაში.

ცეკავშირი ჰყიდის საქონელს თავის საწყობებში და იღებს შეკვეთებს „სვეტოჩ“-ის პრეისკურანტების მიხედვით.

კოოპერატიულ ორგანიზაციებს და სახელმწიფო დაწესებულებებს საქონელი ეძლევა შეღავათიან პირობებში.

გამგეობა და საწყობი მოთავსებულია შტაბის ქ., № 4.

სომხეთის ფარგლებში გადაცემული აქვს სომხეთის კოოპერატიულ კავშირს „აიკოპ“-ს.

ნ. 71 2—1

პროფესორი

ჟივოტოვსკი

აძლევს ქართულ და რუსულ

სტენოგრაფიის გაკვეთილ

მეცადინეობა როგორც ცალკე, ისე ჯგუფობრივ, ცნობების მიღება ყ დღე დილის 10—12 საათამდე და საღამოს 2—5-დე. პლეხანოვის ქ. № 2517—3

ტფილისის ჯანმრთელობის განყოფილება

იწვევს ერთ ექიმს მეან-გინეკოლოგს ქალაქის ლური სამკურნალოს ორდინ

განცხადებანი მიიღებიან ტფილისის ჯანმრთელობის განყოფ ა/წ. 18 ნოემბრამდე. განცხადებასთან ერთად უნდა იქნას წარმოდ დაწვრილებითი „Curriculum vitae“.

ნ. 65 3—2.

ტფილისის ჯანმრთელობის განყოფილება

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

№ 2095—25

ბაზრის ქუჩაზე № 14

სასადილო

„თელავი“

25 ოქტომბერს დილის 10 საათ. დანიშნულია საჯარო

ვაჭრობა

სხვადასხვა ავეჯეულობის გასაყიდათ

2504 1—1

---

10 მანეთად — თვეში ვაძლევ

მათემატიკის

(არითმეტ., ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია) და რუსული ენის გაკვეთილებს საშუალო სასწავლებლის პროგრამით.

პლეხანოვის ქ. № 25 შესავალი ალექსის ქ. № 5 ნახვა 2—6 ს.

ნის. 5—1

მედიცინის დოქტორი

ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. გ. მეგრაბიანცი

გულის, ფილტვების ავადმყოფობა და ტუბერკულოზი. მალარიის სპეციალური ექიმობა 914 შეშხაპ. ფილტვების, გულის და სხვა ორგანოების გამოკვლევა, სურათის გადაღება და ექიმობა

რენტგენის სხივებით

მიღება ყოველდღე 9—1 საათამდის და საღამოს 6—8 საათ. ზუბუთოვის ქუჩა № 23.

ქ. 2507 13—1

ექიმი

ს. ა. გალუსტიანცი

შინაგანი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი; ქრონიკული და მწვავე ტრიპერი, სიფილისი

ავადმყოფების მიღება დილის 25—4 საათ. და 4—7 საათ. ქალების მიღება 2—4 საათ. ელისაბედის ქ., 77 მეორე სახლი კირკის კუჩისკუთხიდან.

25—20 ქ. № 2320

ექიმი

ე. ი. პალანდაძე

ღებულობს ავადმყოფებს ავადმყოფობით შეპყრობილთ ჰოს 5—7 საათამდე. ვენერიულ სიფილისით ავადმყოფთ დილის საათამდე. გუნიბის ქუჩა № 6, კოჯის ქუჩის დასაწყისში.

დავკარგე პირადობის მოწმ ნო იაშვილის სა ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2515

დავკარგე პირადობის მოწმ მეტრიკული ამ გაბრიელ ახალკაციშვილის სახელზე ლოს გაუქმებულათ. 2513

დავკარგე სამხედრო აღრიცხ რათი ხალათ აი სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2512

დავკარგე მეტრიკული ამო სასწავლებლის მო ბირჟის წიგნაკი, პირადობის წიგნ პასპორტი აღებული ასკათის თემ (ოზურგეთის მაზრა) კალენიკე პართ დლონტის სახელზე. ჩაითვალოს გაუ ლათ. 2511

დავკარგე 1) პროფკავშირის გაცემული შორაპ მაზრო პროფბიუროდან № 615. 2) დიული კურსების დამთავრების მო გაცემული ი. ს. კ 3) იარაღის ჩხარის ჩონიდან. 4) სააღრიცხვო წ 4. გაცემული ჩხარის სამხმაგიდიდან. ლოს გაუქმებულათ. კირილე ბუ 2509

დავკარგე პირადობის მოწმ ცემული ბანძის აღმასკომის მიერ 11 ოქტომ 1924 წლის № 83 ვიდით ერთი გთხოვთ გამოაცხადოთ გაუქმებულად. კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ქვ 2510

დავკარგე პირადობის მოწმ ბული ამიერ-კავკ გზ. ადმინისტ. საშემოსავლო ნაწილ გი ნიკოლოზის ასულის აბაშიძის სა ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2505

დავკარგე მედსანშრომის წიგნაკი იულია ვის ასულის ლიშკევიჩის სახელზე. ლოს გაუქმებულათ. 2508

დავკარგე შრომის ბირჟის № 9028 ოლღა სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ 2503

დავკარგე მეტრიკული აღ ლობა ალექსანდრ ქსის ასულის სტოლირენკოს სახელზ თვალოს გაუქმებულად. 250

დავკარგე სალექციო წიგნ 35.84 სახელმწიფო ვერსიტეტიდან მოცემული პელაგია რას ასულის ბოლქვაძის სახელზე ლოს გაუქმებულათ. 7

[illegible] 10 000

სტამბა „ზარია ვოსტოკა“-სა [illegible] № 4